# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 11 მარტი, 2014 წელი.

№48 (7429)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.



## გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.


## კარიბის კრიზისიდან – უკრაინის კრიზისამდე

5



## არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი მზაკვარი სახელმწიფოა

3

- თქვენს განაზრახ-დანაპირებს რად ივიწყებთ, ბნაცელებო?
- ბნაცთა შეუსრულებელი... შესრულებული
- ეს სურვილი სხვა დროს არ გაგჩენია, ქეთუშ?
- ბიჭო, ვისი ხარ, ზურიკო, შეურცხვი დედაშენსაო...



2

## სამხედრო ძალა და პოლიტიკური ნება

8

## კვლავაც ღამის ბატონყმური ურთიერთობა?!

7

## აღმოჩნდა, რომ დიდი სამყაროს ნაწილად ყოფნა მტკივნეული და შეუსამოგვრელია

7



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

წკიპურტები

# თქვენს განაზრახ-დანაპირებს რად ივიწყებთ, გნაცელებო?

**უბრალოდ სულსწრაფიაო, ვერ იტყვი გნაცმოძრაობაზე. უფრო ჩასაფრებულ-დადარაჯებულსა ჰგავს, ოპონენტის ფეხის წამოკვრას დანატრებულს.**

თავისი აზრით, თვითონ ყოველგვარი მოვალეობისგან თავისუფალია, სხვისი კი, თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს. უფრო მეტიც, ოპონენტისგან შესაძლებელზე ადრეც მოითხოვს დანაპირების შესრულებას: ხომ გახსოვთ 2012 წლის ოქტომბერს არჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე როგორ „შეარცხვინა“ „ქართული ოცნების“ ჯერაც დაუმტკიცებელი მთავრობა(?!) გიორგი ღვინიაშვილის პირით — **რად არ შეასრულეთ დანაპირები და რატომ არ მოუხანით გლეხებს მიწებიო!**

ჰოდა, ამის გათვალისწინებით, თავისი ერთი განაზრახ-დანაპირებილა მინდა შევახსენო გნაცმოძრაობას: **პარლამენტი იმიტომ გადაგვაქვს ქუთაისში, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს იქ მუშაობა იქაურობას ააყვავებსო.**

ყვავები კი ჩანან აქა-იქ ქუთაისში, მაგრამ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აყვავებისა რომ არაფერი არ ეტყობა იქაურობას, ფაქტია.

რაო? დროა ამისთვის საჭიროო?



კი, მაგრამ „ოცნების“ დაპირების შესრულებას დრო არ სჭირდება?

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „ქუთაისის“ პარლამენტი და „ქართული ოცნებაც“ ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთდროულად გამოჩნდნენ სარბიელზე? ისინი ხომ „ტყუპისცალებივით“ არიან?

მაშ მხოლოდ ერთს რატომ ვაძლევთ, როგორც ჟარგონით იტყვიან, „სტო პერიოდს“?

სინამდვილეში რისთვისაც გადაიტანეთ პარლამენტი ქუთაისში, ყველამ კარგად იცის, გნაცელებო!

**და ბოლოს, თქვენ რომ მართლაც ქუთაისის აყვავება გდომებოდათ, მერწმუნეთ, ის 360 მილიონი, რაც იქ პარლამენტის შენობის აგება პირველ ეტაპზე დაჯდა, უშუალოდ ქუთათურთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად რომ გამოგეყენებინათ, დღეს მართლაც ბევრად ძლიერი და აყვავებული სავარდო და სამაისო ქალაქი გვექნებოდა!**

# გნაცთა შეუსრულებელი... შესრულებული

**იმ უამრავ დაპირებადლა დარჩენილ დანაპირებზე არაფერს არ ვიტყვი, გნაცმოძრაობის ზეობისას რომ დახვავდა. მხოლოდ ერთს გამოვყოფ იმათგან, რაც უკვე გაკეთებულად მიიჩნიეს გნაცელებმა.**

იქნებ ახსოვს მკითხველს, 2009 წლის აპრილის ხარე-



ბა დღეს როგორ შევარდა სააკაშვილი ერთი ფოთელის ეზოში, მოუშვა წყლის ონკანი და ფოთელებს ახარა — **მორჩა, თქვენი პრობლემა მოიხსნა, მალე 24-საათიანი წყალმომარაგება გექნებათო!**

მართლაც აქვთ ფოთელებს დღეს 24-საათიანი წყალმომარაგება, მაგრამ **ერთ დღე-ღამეში კი არა, არამედ... ერთ დეკადაში!**

— ეს გამონაკლისია, სხვა ყველაფერი მართლაც შესრულდა და ერთი რამის გამო რად სვრი ლაფში მთელ გნაცმოძრაობასო, — შეიძლება გამიბრაზდეს გნაცელთა რომელიმე ტვინგაცხელებული მხარდამჭერი.

თუ გაბრაზდება, როგორც იტყვიან, ცივი წყალი დალიოს.

ამას ფოთში, მართალია, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ვერ იზამს, მაგრამ, თუ მაინცდამაინც, შეუძლია, არგვეთას ეწვიოს და **იმ „წყაროს“ ანკარა ცივი წყალი დალიოს, მიშამ დანაპირებისამებრ რომ „გაუყვანა“ ცხონებულ მუხრან მაჭავარიანს.**

ან გზაში რომელსამე „ბანერზე გახსნილ“ საწარმოში შეიაროს, როგორც ამაზე ლადაობდა, „მთავრობის მასხარა“ (თავის თავს თვითონ უწოდებდა მიშას ზეობისას ასე „ვანოს შოუს“ წამყვანი) ჯავახიშვილი და იქ დალიოს.

**კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ღირს კი?..**

**შენ კიდევ სხვას აკრიტიკებ, ურცხვო გნაცელო?**

# ეს სურვილი სხვა დროს არ გაგჩენია, ქეთუშ?

**„საქართველოს რესპუბლიკა“ თავის 8 მარტის ნომერში უკვე წერდა „ღრმა სოფელში“ — საქართველოში — ცხოვრებით ბედს დამდურებულ ქეთევან იგნატოვას წუხილზე,** რომელიც მას გაზეთ „Weekend“-ის ბოლო ნომერში ჰქონდა გამოთქმული: **„მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ოსკარების გასაოცარ სანახაობრივ დაჯილდოებას უყურებს და მერილ სტრიპის ღიმილით ტკბება, „იავნანას“ სოფლის კლუბი ვინ მოგვისაჯა? ჩვენთანაც ხომ 21-ე საუკუნეა?“**



ჩვენი აზრით, ეს ნაციონალი ბანოვანი „იავნანით“ გაზრდილი არ უნდა იყოს, შენ როგორ ფიქრობ, ნამდვილო ქართველო? — კითხულობდა ჩვენი გაზეთი.

თავის იმავე წერილში („ნერვიულობისა და სიბრაზის დღეები“) ცნობილი ნაციონალი ქეთუსია იგნატოვა ამასაც წერდა: **„არ შეიძლება, რომ ალექსანდრე პეტრიაშვილს, ეთერში ყოველი გამოსვლის წინ, ალკოჰოლის შემამოწმებელ დანადგარ...**

აქ გაზეთს ტექნიკური წუნი მოსვლია და წინადადება ვერ დაუსრულებია (ხდება ხოლმე), მაგრამ ადვილად შეიძლება ქეთუსიას აზრის გაგება, — **არ შეიძლება, რომ ალკოჰოლის შემმოწმებელ დანადგარზე ჩაუტარდეს შემოწმებაო?**

**ეს აზრი სხვა დროს, ეთერში სხვათა ხილვისას არასოდეს არ გაგჩენია, ქეთუშ?**

**აი, თუნდაც მაშინ, როცა ტელეეთერში ღვინით გამომტყვრალი თუ სხვა რამით დაბოლილი შენი სათაყვანებელი სააკაშვილი იხილე მახათას მთაზე (თუ მაშინ არ გინახავს, დღეს დაბეჭდილი ფოტოთი შეგახსენებთ!)?**

და ერთი საკითხიც, ქეთუშ: გეხსომება, რომ 3-4 წლის წინათ ოპოზიციონერმა დეპუტატმა წამოაყენა წინადადება პარლამენტისა და ხელისუფლების წევრთა ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

ისიც გეხსომება, შენმა საყვარელმა სააკაშვილმა, რომელიც თურმე, შენი მტკიცებით, ქართველ ჟურნალისტთაგან მხოლოდ შენს ნაწერებს კითხულობდა, მაშინ **ოპოზიციონერის ეს წინადადება მოიწონა და თქვა, პირველი მე გავივლი ამ შემოწმებასო.**

**ხომ არ იცი, ქეთუშ, თავისი უამრავი დანაპირების მსგავსად ესეც „ფარღალალა“ დაპირებადლა რად დატოვა მიშამ და რატომ არ გაიარა ნარკოშემოწმება თავის „თანამოსაგრეებთან“ ერთად?**

# ბიჭო, ვისი ხარ, ზურიკო, შეურცხვი დედაშენსაო...


წყალბურთში წინ ვართ

**იმავ გაზეთის იმავ ნომერში „ქალაქელ“ ქეთუსიას ღირსეულად უბამს მხარს სავარაუდოდ სპორტული ჟურნალისტი ზურა თალაკვაძე, რომელიც ქართველ წყალბურთელთა წარმატებაზე წერს:**

> **„თუ ვიცით, რომ გუნდურ სახეობებში ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ გარჩევებში გასვლა რთულია, წყალბურთელების წარმატება უნდა დავაფასოთ და ქართულად არ უნდა გაგვიხარდეს. ქართულად, ანუ როგორ? ღვარძლიანად, შურით, ქლესურად, არა გულით. მოკლედ ქართულად რა...“**

ღირს ამის კომენტარი და რაიმეს თქმა? მეტი ცინიზმი, ნიჰილიზმი და სხვა უამრავი მსგავსი „იზმი“ იქნება?

**ერთსღა ვიტყვი: მართლაც, „კოკასა შიგან რაცა დგას“...**

**ამ „კოკაში“, ცხადია, ასეთი „შედევრის“ დამბეჭდავი გაზეთიც იგულისხმება და იმისი ავტორიც!**

**რუსლან რუსია**

ინფორმაცია

# ნაციონალები წინასაარჩევნოდ ისევ ითვისებენ ბიუჯეტის სახსრებს

**საბურთალოს გამგეობაში სათათბირო ორგანოს შექმნის საკითხზე დოკუმენტაცია სამართალდამცველ ორგანოებს გადაეცემათ. ამის შესახებ საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ქავთარაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

— თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ რამდენიმე რაიონის გამგეობაში ჩაატარა შემოწმება. ერთ-ერთი მათგანი საბურთალოს რაიონის გამგეობა იყო. როგორც კი აღნიშნულ გამგეობაში შემოწმება დასრულდა, 2013 წლის 22 ოქტომბერს საბურთალოს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გია ხუროშვილმა გამოსცა ბრძანება №3, რომლის თანახმადაც რაიონში სათათბირო ორგანო შეიქმნა. ამავე ბრძანების მიხედვით, თითოეული ტერიტორიული ერთეულის სათათბირო ორგანო არაუმეტეს 50 წევრისაგან შედგება. აღსანიშნავია, რომ სათათბიროებს, რომლებშიც მხოლოდ საბურთალოს რაიონში 112 ამხანაგობის თავმჯდომარეა გაერთიანებული, იგივე ფუნქციები და მოვალეობები აქვთ, რაც კანონით აქვს განსაზღვრული მუნიციპალიტეტებს. ამდენად, გია ხუროშვილის ამ ბრძანებით რაიონში შეიქმნა დამატებითი ინსტიტუტი, რომელთა დაფინანსებაც სრულიად გაუმართლებელია, რადგან მათი შექმნით რაიონისთვის რაიმე დამატებითი სარგებელი არ დამდგარა. ამასთანავე, თითოეულ სათათბიროს წევრზე 2013 წლის მეოთხე კვარტალის წახალისებასთან ერთად გაიცა 750 ლარი, ანუ მთლიანობაში სათათბიროს 112 წევრზე გაიცა 84 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად სათათბიროს წევრები, ანუ ამხანაგობების თავმჯდომარეები თბილისის ბიუჯეტიდან იღებენ წახალისებას 375 ლარის ოდენობით. ამდენად, ეს ადამიანები წახალისების ორივე ფორმით სარგებლობენ და სათათბიროს თითოეულმა წევრმა გასული წლის დეკემბერში წახალისების სახით 1 125 ლარი მიიღო, ანუ ამ პერიოდში ჯამურად სათათბიროს წევრებზე 126 000 ლარია გაცემული, — განაცხადა ქავთარაძემ.

მისივე თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სათათბიროებში გაერთიანებულები არიან ადამიანები, რომლებიც „თბილსერვისის“ და ძველი თბილისის განვითარების ფონდის გახმაურებულ საქმეებში ფიგურირებდნენ, თბილისის ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივი ხარჯვის საქმეზე საგამოძიებო ორგანოებში არაერთხელ იყვნენ დაკითხვაზე.

— როგორც ჩანს, ახლა თბილისის მერიამ გადაწყვიტა წინასაარჩევნოდ თავისი პარტაქტივი სწორედ ამ გზით „დაესაქმებინა“. გვინდა, მოვუწოდოთ ამ ადამიანებს, ნუ მიიღებენ თბილისის ბიუჯეტიდან ამ თანხებს, რადგან ეს ფული არამიზნობრივად იხარჯება და გამგეობის ეს ქმედება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს სცილდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ამ ინფორმაციას და შესაბამის დოკუმენტაციას ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს გადავცემთ შემდგომი რეაგირებისთვის, — განაცხადა ქავთარაძემ.

**ინტერპრესი**



**„არც არასოდეს მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ეს ოლიმპიადისთვის არ იყო გაკეთებული. ოლიმპიადა იყო მხოლოდ საბაბი. ერთ-ერთი მტკივნეული წერტილი ჩვენთვის არის ეს ოკუპირებული ტერიტორიები. თავისთავად ცხადია, რომ იქნება პროვოკაციები. აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ტრიბუნა, მაქსიმალური ჩართულობა, მაქსიმალური აქტივობა და მაქსიმალურად გაშლა დიპლომატიური ფრონტის“**, — აცხადებს გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძე.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები უკრაინაში, რომელიც ავტომატურად შეიძლება აისახოს საქართველოზეც, ამ საკითხებზე for.ge **თენგიზ ფხალაძეს** ესაუბრა.

**— ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგზე მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს დასრულდება. საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა განაცხადეს, რომ აგვისტოს ბოლომდე ჩვენ გველოდება ძალიან რთული პროცესები. როგორ ფიქრობთ, საგარეო პოლიტიკური მიმართულებით რა ელოდება ქვეყანას?**

— ყველაზე მთავარი არის უსაფრთხოების გარემო და ვითარება მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ეს არის, როგორც სამხრეთ კავკასია, ასევე უკრაინაც. იგივე პროცესები განვითარდება მოლდოვაშიც. ყველაფერი მაინც, რუსეთისკენ მიდის. ფაქტია, რუსეთი ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ კლანჭებიდან არ გაექცეს სახელმწიფოები, რომლებიც ფაქტიურად უკვე გასული არიან მისი ზეგავლენის ზონიდან. ამიტომ, როგორც წესი, ინტერვენციის ფინალური აგონია ყოველთვის საშიშია, ხოლმე. სწორედ, ამ ფინალური აგონიის ეტაპზეა ახლა რუსეთი საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში.

**— დღეს მსოფლიო ყურადღება მიმართულია ყირიმისკენ. ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია პარალელურ რეჟიმში, რუსეთის მხრიდან, საქართველოშიც დაიწყოს პროვოკაციები? ოლიმპიადის დასრულებიდან მეორე დღესვე რუსეთმა დაიწყო მავთულხლართების გაბმის პროცესი...**

— გამიკვირდება კიდევაც, რომ რუსეთმა საქართველოს მიმართულებით არაფერი გააკეთოს. ის, რომ დღეს ყურადღება ყირიმისკენაა მიმართული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან არაფერი არ ხდება. შევხედოთ რუსეთის პოლიტიკას — ზეწოლა არ ხორციელდება საქართველოზე? — ფაქტია, რომ ხორციელდება — მავთულხლართები სხვა არაფერია თუ არა ზეწოლა. შევხედოთ იმ პროცესებს, რაც მიმდინარეობს მოლდოვაში, სადაც ასევე ხორციელდება ზეწოლა. გეთანხმებით, რომ ყირიმი არის მოვლენების ძირითადი ეპიცენტრი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნები დასვენებული არიან. მათ შორის ისინი ვისზედაც რუსეთი ლაპარაკობს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა აქვთ — სომხეთზე ძალიან სერიოზული პრესი მიდის.

**— ამ ვითარებაში, ალბათ, უნდა გვქონდეს ევროკავშირის დახმარების იმედი, რომ აგვაცილოს ის საფრთხეები, რომლის წინაშეც დღეს აღმოჩნდა უკრაინა...**

— უკრაინა არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, კრიზისულ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო და როგორ არ უნდა მოიქცეს. რაღაც-რაღაცა შეცდომები პირველ ეტაპზე უკრაინამ დაუშვა, მაგრამ დროზე გამოასწორა. ჩვენ ვხედავთ რაც ხდება ყირიმში, რუსები მიდიან ყველაფერზე, რომ რამენაირად გამოიწვიონ თუნდაც ერთი გასროლა, თუნდაც ერთი ინცინდენტი. ანალოგია გადამაქვს იმ მავთულხლართებზე და იმ საშინელებაზე, რაც ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. არ შეიძლება ახლა საბაბის მიცემა რუსებისათვის.

**— 11-კმ-ანი ზოლი გახდება თუ არა ზეწოლის ერთ-ერთი ფორმა? საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, სწორედ ამ მიმართულებით უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან პროვოკაციას.**

— არც არასოდეს მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ეს ოლიმპადისთვის არ იყო გაკეთებული. ოლიმპიადა იყო მხოლოდ საბაბი. ერთ-ერთი მტკივნეული წერტილი ჩვენთვის არის ეს ოკუპირებული ტერიტორიები. თავისთავად ცხადია, რომ იქნება პროვოკაციები და ამიტომაც ვამბობ, რომ აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ტრიბუნა, მაქსიმალური ჩართულობა, მაქსიმალური აქტივობა და მაქსიმალურად გაშლა დიპლომატიური ფრონტის.

რატომ იჩაგრება დღეს უკრაინა? იმიტომ, რომ 2008 წელს დაიჩაგრა საქართველო. ამიტომ, ეს თემა მუდმივად უნდა ვატრიალოთ. არაფრით არ შეიძლება საქართველოს ამოვარდნა იმის გამო, რომ ყურადღება გადავიდა სხვა მიმართულებით. პირიქით, ზუსტად ეს

# არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი მზაკვარი სახელმწიფოა

ყოველდღე უნდა ვატრიალოთ. თუ დღეს რუსეთი არ გააჩერეს, ხვალ კიდევ უარესი მოხდება. ამიტომ, ყველა დონეზე უნდა ვიყოთ პრინციპულები, მაგრამ არ უნდა ვიყოთ ემოციურები.

**— როგორ განვითარდება უკრაინაში მოვლენები და მივა თუ არა ქვეყანა საომარ მოქმედებამდე, ამის წინასწარ პროგნოზირება რთულია. დასავლეთის აქტიურობით ჩანს, რომ მიღებულია გადაწყვეტილება რუსეთს უკრაიაში სერიოზული პასუხი გასცენ. ალიანსმა რუსეთთან თანამშრომლობის მთელი კომპლექსის გადახედვა დაიწყო, აშშ-მა აამოქმედა ეკონომიკური სანქციები. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რომელიც ავტომატურად შეიძლება აისახოს საქართველოზეც?**

— რუსეთი არის არაპროგნოზირებადი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოსაგან ყველაფრის მოლოდინი შეიძლება. რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან, ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში, არის ყველაზე მწყობრი პოლიტიკა. მართლაც რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი ცდილობს, სერიოზული პასუხი გასცეს რუსეთს. გამოწვევა არის ძალიან მნიშვნელოვანი.

საუბარი არაა მარტო ყირიმზე, ან უკრაინაზე, პრეცედენტი, რომელიც მოხდა 2008 წელს საქართველოში, როდესაც ღია აგრესიით დაირღვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი სუვერენიტეტი, ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფომ მოახდინა ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოს ოკუპაცია და თუ იგივე პრეცედენტი განმეორდა და თუ ეს შერჩა რუსეთის სახელმწიფოს, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემა, რომელიც არსებობდა ამდენი ხნის განმავლობაში, ინგრევა და მსოფლიო უბრუნდება მე-18, მე-19 საუკუნის გეოპოლიტიკას.

თუ ამის საშუალება მისცა მსოფლიომ რუსეთს, ეს ძალიან სერიოზულ კატაკლიზმებს გამოიწვევს არა მხოლოდ ყირიმში, უკრაინაში და შავიზღვისპირეთში, არამედ, მთლიანად ევრაზიის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში. ვფიქრობ, რომ ეს საფრთხე ძალიან კარგად აქვს გათვითცნობიერებული დასავლეთის ქვეყნებს. იმედს ვიტოვებ, რომ მათი მოქმედება იქნება მართლაც ძალიან მტკიცე.

ჯერჯერობით, რასაც ვუყურებთ არის ის, თუ როგორ გამკაცრდა რიტორიკა. როგორც წესი, ცივილიზებული ქვეყნები ასე მოქმედებენ, აკეთებენ გაფრთხილებას, რაც გამოიხატება დიპლომატიურ რიტორიკაში, რასაც საქართველოში შეშფოთება-აღშფოთებას ვეძახით. მაგრამ, ამ შეშფოთებასა და აღშფოთებას შორის დიდი განსხვავებაა და მას თავისი დანიშნულება აქვს. ამის შემდეგ გადავიდნენ უფრო გამძაფრებულ განცხადებაზე, რასაც მოჰყვა ეკონომიკური სანქციები. ნელ-ნელა ეს სანქციები მკაცრდება.

ცივილიზებული სამყარო, მაქსიმალურად ეცდება, თავიდან აიცილოს პირდაპირი კონფრონტაცია ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოსთან. მით უმეტეს, როდესაც ისეთი უპასუხისმგებლო ადამიანები სხედან იმ სახელმწიფოს სათავეში, როგორიც ბატონი პუტინი და მისი გარემოცვა. დარწმუნებული ვარ, რომ გამოსავალი მოინახება და რუსეთს ეს არ შერჩება. მაგრამ, ამ გლობალურ სიტუაციაში რას იზამს უკრაინა და რამდენად მოახერხებს სწორი პოლიტიკის გატარებას, რომ ამ ვითარებაში პროვოკაციის გამო, არ მოხდეს მისი სერიოზული დაზარალება, ეს დამოკიდებულია უკრაინის პოლიტიკურ წრეებზე და მათი პოლიტიკური წრეების კოორდინაციაზე საერთაშორისო თანამეგობრობაში.

**— რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინაში სამხედრო ძალებს უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებს.**

**როგორ ფიქრობთ, ეს არის თუ არა ჯონ კერის განცხადების საპასუხო, როდესაც მან დაადასტურა, რომ თუ კი იქნება რუსეთის მხრიდან პროვოკაცია, ამერიკა მზად არის სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს უკრაინას?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ასეა. ვლადიმერ პუტინმა უკვე გასცა ბრძანება, რომ სამხედროები დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილას. თუ სამხედროები დაბრუნდებიან დისლოკაციის ადგილას, მაშინ ეს არის სწორედ ამ ზეწოლის შედეგი. თუ ეს ბრძანება არაა მოჩვენებითი, მაშინ რატომ დარეგისტრირდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში კანონპროექტი ყირიმის მიერთების შესახებ? ეს რომელი დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც კანონპროექტების რეგისტრაცია ხდება კრემლთან შეუთანხმებლად?

არც მზაკვრობა არაა გამორიცხული რუსეთის მხრიდან. არ დაგვავიწყდეს, ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ სახელმწიფოზე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოზე მუდმივად აფიქსირებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას და მეორე ხელით ძირს უთხრიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

**— ამ პირობებში რამდენად სწორი და დროული იქნება საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა?**

— კარგი შეკითხვაა. ამაზე აჟიოტაჟი ქართულ მედია საშუალებებში არ ცხრება, რაც არ მომწონს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, თავმოყვარე ქვეყანა არ უნდა უთმობდეს ამხელა ყურადღებას იმ ერთ შემთხვევით გასროლილ განცხადებას, რა ფორმითაც იქნა გაჟღერებული. ამას ყველაფერს საერთაშორისო ურთიერთობებში თავისი ფორმა და წესი აქვს. სანამ ამ წესით არ იქნება ეს ყველაფერი გაჟღერებული, მანამდე ის პირველი პასუხები, რაც გაიცა, არის სრულიად საკმარისი.

ამ თემის მუდმივად ტრიალი, კარგი არ არის საქართველოს პოზიციონირებისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თემა შიგნით არ უნდა იყოს განხილული. შიგნით ამაზე მსჯელობა უნდა მიდიოდეს, მაგრამ ეს მსჯელობა უნდა სცილდებოდეს ეკრანს და კამერებს. ლამისაა ღია ეთერში დაიწყოს იმის განხილვა, ვინ უნდა შეხვდეს და ვინ არ უნდა შეხვდეს პუტინს. კარგი იქნება, თუ ჩვენი მთავრობა ამას გაითვალისწინებს და კამერების მიღმა განიხილავენ იმ საკითხებს, რაც სამზარეულოში უნდა იყოს განხილული.

მეორე საკითხია, უნდა მოხდეს თუ არა შეხვედრა. შეხვედრის ალტერნატივა არის წინააღმდეგობა, კონფრონტაცია. ხელის აკვრა არ შეიძლება, მაგრამ კიდევ ვამბობ, რომ დღეისათვის წარმოუდგენელია ლაპარაკი იმაზე, რაც არ გაჟღერებულა სათანადო ფორმით. მათ შორს ის, თუ რის შესახებ არის მოლაპარაკება, რაზე არის მზად, ის ქვეყანა გველაპარაკოს. მზად არის გველაპარაკოს უსაფრთხოების საკითხებზე, თუ მზად არის, გველაპარაკოს მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ამიტომ, დაველოდოთ მოვლენებს. მხოლოდ და მხოლოდ ამის მერე გავაკეთოთ შეფასებები.

**თამთა ქარჩავა**

## ⊙ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ზოგიერთი, „პრო-ქართველი“ დღეს ნუგზარ წიკლაურის დონეზეა დაცემული და საქართველოს სიყვარულით პუტინის სკვერიდან მისი ბიუსტის გატანა ჰგონია... ბრავო მეგობრებო, ბრავოოოოოოო ))

● ისა, გრიბოედოვის ამოთხრა და გატანა არ დაგავიწყდეთ მთაწმინდის პანთეონიდან...

კიდევ კარგი, სტალინი მაინც დაამცხეთ გორში.

შემდეგი ვინ იქნება?

„● რუსთავი-2“-ის იუმორისტული გადაცემების პროდიუსერებს და გადაცემების ავტორებს ნუთუ მართლა ჰგონიათ რომ, რასაც ისინი აკეთებენ, ამას იუმორთან, ღიმილთან და კარგი განწყობის შექმნასთან რამე საერთო აქვს? ღმერთო ესროლე ამ ტუტუცებს მეტეორი რააა...

● მადლობა ინტერნეტს, ის რომ არა, ალბათ ვერასდროს გავიგებდი, ამდენი ბრიყვი თუ იყო ქვეყანაზე.

● ჩემში ჩავატარე რეფერენდუმი: გულმა — საქართველოს დამოუკიდებლობას, კუჭმა — ევროკავშირთან შეერთებას, ხოლო ტანმა ტანიასთან და ნატაშასთან საბჭოთა კავშირს მისცა ხმა. ტვინმა თავი შეიკავა!

● სევდა — აბდა.

პროკურორი — ბოტასი.

თინა — ორალი.

პარლამენტი — ბუსუსებიანი პრეზერვატივი.

მერსი — ძუძუ.

სამოშხარებლო კალათა — გიტარა.

მაშ კი არა, შავ ქვას მოგვცემენ!

● რაც არ უნდა განაცხადოს დეფიმ, მაინც თინა მახარაძე ჯობია!

● ბიჭოლა პუტინის წინააღმდეგ განცხადებას როდის გააკეთებს?

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

## ⊙ ალიან-ჩალიანი

# მურმან დუმბაძეს ხულიგნობაში ადანაშაულებენ

**„თავისუფალი საქართველოს“ ხელვაჩაურის სიის პირველი ნომერი მერაბ ლოლობერიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძეს შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს.**

**როგორც ლოლობერიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ბათუმში, მემედ აბაშიძისა და ასათიანების ქუჩების კვეთასთან მეგობრებს ესაუბრებოდა, რა დროსაც ავტომობილი სანომრე ნიშნით „777“ გაჩერდა, გადმოვიდა მურმან დუმბაძე და მისი ძმა და მას „გაუსწორდნენ“.**

**როგორც ლოლობერიძე აცხადებს, შემთხვევა დააფიქსირეს აღნიშნულ ქუჩებზე განთავსებული ვიდეოკამერებმა. აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას მერაბ ლოლობერიძემ მურმან დუმბაძის შვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც მურმან დუმბაძე „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელ შეხვედრას სთხოვს და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს.**

# ხალხი ხედავს, რომ გაფიცვა და პროტესტი რაღაცის მომტანი გახდა



**ბოლო დროს ქვეყანაში საგრძნობლად მოიმატა საპროტესტო აქციებისა და გაფიცვების რაოდენობამ. თავიანთ მოთხოვნებს აყენებენ როგორც დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში, ასევე რაიონულ ცენტრებში, სოფლებში, დაბებსა და უბრალოდ დასახლებულ პუნქტებში. გამპროტესტებელთა შორის არიან სხვადასხვა სფეროში დასაქმებულნი. ითხოვენ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისინი ასახელებენ ხელფასების სიმცირეს, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებაზე უარს დამქირავებლის მხრიდან, კონტრაქტის ვადების თვითნებურ შეცვლას ადმინისტრაციების მიერ. ექსპერტების, სპეციალისტების, პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა გაკვირვება გარკვეულ წილად ხელოვნების სფეროს მუშაკთა გაფიცვებმაც გამოიწვია. მათი მოთხოვნები სხვა სფეროებში პროტესტის მსგავსი იყო.**

ოფიციალური მონაცემებით შარშან ქვეყანაში დაფიქსირდა გაფიცვების და აქციების 120 შემთხვევა. აქედან 30-ს ორგანიზებული სახე ჰქონდა, დანარჩენები კი სპონტანურად მოეწყო — აცხადებენ სპეციალისტები და ირწმუნებიან, რომ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ, რადგანაც ეს პროცესები, დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ნორმალური მოვლენაა.

თავის მხრივ ექსპერტები ირწმუნებიან, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში საპროტესტო აქციებსა და გაფიცვებს აზრი არ ჰქონდა, რადგანაც დუღილის პროცესი დახურულ მდგომარეობაში მიმდინარეობდა. ამას გარდა, აღნიშნავენ ისინი, პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვის დაგეგმილ, მიმდინარე და შემდგომ პერიოდებს თან ახლდა მონაწილეებზე სამართალდამცავი ორგანოების არნახული ზეწოლა. აქტივისტებს იბარებდნენ შსს-სა და პროკურატურის ადგილობრივ ორგანიზაციებში. აშინებდნენ და აშანტაჟებდნენ მათ. **„უბედურებს იმის ტვინიც არ ჰქონდათ, რომ ხალხის ცემის მაგივრად მიეცათ მათთვის პრობლემებზე თავისუფლად საუბრის უფლება, ეს ხომ მათ, დასავლეთის თვალში უფრო დემოკრატიულ მმართველობად წარმოაჩენდა. მაგრამ მათ ეშინოდათ, რომ საპროტესტო გამოსვლები აგორდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და ისინი არა მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ თემებზე იქნებოდა. დღის წესრიგში დადგებოდა უსამართლო სასამართლოს (ჩამორთმეული ქონების, უკანონო დაპატიმრებები, ყველა რგოლის ჩინოვნიკების მექრთამეობა და კორუფციაში ჩართულობა და მრავალი სხვა), აგრეთვე ბევრი სხვა საკითხიც, რომელსაც ნაციონალების მმართველი ელიტა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს საგულდაგულოდ უმალავდა“ —** აცხადებს რამდენიმე საპროტესტო აქციის მონაწილე, არაერთხელ ნაცემი და დროებით დაპატიმრებული **მინდია მიმინოშვილი.**

ამის გამო, რომ ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კმაყოფილი იყო საკუთარი ყოფითი პრობლემებით და მხოლოდ 10 საპროტესტო აქცია გაიმართა 2013-ის 120 აქციის საპირწონედ. თუმცა, ანალიტიკოსების დასკვნით ამ გამოსვლებს იოტისოდენადაც არ შეუცვლია უკმაყოფილოთა მდგომარეობა (გარდა რეზინის „დუბინკებით“ დაშლისა, ცემისა, დროებით უკანონო დაპატიმრებებისა, სამსახურებიდან დათხოვნებისა).

ექსპერტს სოციალურ საკითხებში **ნოდარ კაპანაძეს** მიაჩნია, რომ წინა წლებთან შედარებით ქვეყანაში მდგომარეობა არ შეცვლილა, მაგრამ სხვადასხვა პრობლემებით შეწუხებულებმა დაინახეს, რომ იქ „ზევით“ მათ გამოსვლებს ვიღაც ყურადღებას აქცევს. რაღაც სასიკეთოდ იცვლება (ბევრი არაფერი — **ზ. ბ.**). მათ უკმაყოფილების გამოხატვისთვის აღარ დევნიან და ავიწროებენ. საქმეში ჩაერთო პროფკავშირებიც, რომელიც აქამდე, „მკვდრადშობილ“ და „სახელისუფლებო ორგანოების დანამატად“ აღიქმებოდა. მათი გააქტიურებისა და პროცესებში რეალურად ჩართვის შედეგი იყო ის, რომ პროფესიული კავშირების უშუალო მონაწილეობით და ორგანიზებით 30-მდე საპროტესტო აქცია და გაფიცვა მოეწყო, აცხადებს პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა ალექსანდრია. მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ დარგობრივი პროფკავშირები, აცხადებს იგი, მაგრამ მოსახლეობამ ჯერ კიდევ ვერ გაითავისა, რომ დარგობრივი და ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებების რგოლები მხოლოდ მათ დასაცავად არიან მოწოდებულნი. ამის გამო შარშან 120 გამოსვლიდან 90-ს სპონტანური ხასიათი ჰქონდა.** ან, როგორ მიაკითხავდნენ ალექსანდრიას დასახელებულ პროფორგანიზაციებს დახმარებისთვის, როდესაც ხედავდნენ, თუ როგორ იდევნებოდნენ, ყოველმხრივ ზეწოლას განიცდიდნენ ადგილობრივი პროფკავშირები როგორც დამქირავებლების, ადმინისტრაციების, ასევე ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ცენტრალურ ოფისს შებრძოლების უნარი არ ჰქონდა.



პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **ორგანიზაცია ყოველ მათ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციასა თუ გაფიცვას აწყობს „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად და იქედანვე გამომდინარე ალექსანდრია ამბობს, რომ ისინი არ უბიძგებენ გამომსვლელებს სპონტანური მოქმედებებისკენ. ქაოსურ გამოსვლებს ამჯობინებენ მაქსიმალურ შემთანხმებელ პროცედურებს დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის.** ამისთვის კი ისინი ყველა მოსამზადებელ ეტაპს გადიან. ორგანიზაციებიც და საზოგადოებაც ნებისმიერი საპროტესტო ქმედებების შესახებ წინასწარ არის ინფორმირებული — აცხადებს საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია.

ეკონომიკის სფეროს მუშაკები თვლიან, რომ საპროტესტო გამოსვლების რაოდენობრივ ზრდას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან. მათი ვარაუდით, ეს უფრო შედეგზე ორიენტირებული პროტესტის ფორმაა, რომელსაც იწვევს დამქირავებელსა და დაქირავებულებს შორის დაძაბული და გამწვავებული ურთიერთობები.

იგივეს ამბობენ სოციალური სფეროს ექსპერტები. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულები, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში პროტესტის სხვადასხვა ფორმას აზრი მიეცა და ბევრად არიან ორიენტირებულნი საბოლოო შედეგზე, ვიდრე ეს იყო წინა ხელისუფლების ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში.

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **გიორგი აბაშიშვილის მოსაზრებით, გაფიცვები და საპროქტესტო აქციები დემოკრატიული პირობებისთვის ნორმალური პროცესია და საზოგადოების რომელიმე ფენის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ უკავშირდება.** იგი საპროტესტო აქციების არნახულად მომატებაში ცუდს ვერაფერს ხედავს და ყოველივეს იმით ხსნის, რომ საზოგადოებაში გაჩნდა განცდა — პროტესტით მიზნის მიღწევა შესაძლებელია. ამასთანავე, დოქტორი თვლის, რომ სხვისი საპროტესტო მაგალითები, რომელთაც შედეგს, რაღაც წინსვლას მიაღწიეს, უკმაყოფილოებში აჩენს იმის განცდას, რომ ამგვარი ფორმებით წარმატებების მიღწევა შესაძლებელია.

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს გიორგი აბაშიშვილს მიაჩნია, რომ გამოსვლები სრულებითაც არ არის განპირობებული მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესებით. ცვლილებები გაუარესების ან გაუმჯობესების თვალსაზრისით ბოლო 2-3 წლის წინანდელთან შედარებით არ შეიმჩნევა, ასკვნის იგი.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. რამდენიმე დღის წინათ პირველი არხის სატელევიზიო სოციალურ თოქ-შოუ „რეალურ სივრცეში“ განხილული იყო კახეთში გაფიცვის მიზეზები. გაფიცულ მუშა-მოსამსახურეებს სოციალურ-ეკონომიკური პრეტენზიები აქვთ ადმინისტრაციის მიმართ (სამუშაო პირობები, დაზღვევა და ა. შ.), პროტესტი ძირითადად აგორდა 180-ზე მეტი თანამშრომლის გაუფრთხილებლად გათავისუფლების გამო, რაც საქართველოს „შრომის კოდექსის“ უხეში დარღვევაა. ადგილობრივები არ იზიარებენ თოქ-შოუში გამოსულ ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებას, რომ შტატების შემცირების მიზეზი ისაა, რომ კომპანია წამგებიანია, რის გამოც მაკონტროლებელმა საგადასახადო ორგანოებმა წარმოება მოგების გადასახადიდან გაანთავისუფლეს. გაფიცულთა წარმომადგენლები წარმოთქმულს მტკნარ სიცრუეს უწოდებენ, რადგანაც კარგად უწყიან ყოველდღიურად რა რაოდენობის პროდუქცია იტვირთება და გადის კომპანიის ტერიტორიიდან. მუშები პირდაპირ აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია ატყუებს არა მარტო მათ, როდესაც ეკონომიკური ფაქტორების მომიზეზებით ათავისუფლებს თანამშრომლებს, ცდილობს ერთ კაცს შეასრულებინოს 3-4 ადამიანის სამუშაო, რითაც კიდევ უფრო გაზარდოს კომპანიის მოგება, არამედ სახელმწიფოსაც, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.**

**„რეალურ ეთერში“ კაზრეთის საკითხთან დაკავშირებით მოწვეული იყო საქართველოს ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილიც. მან შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა. როდესაც იგი დაბაში ჩავიდა, შეხვდა გაფიცულებს, მოისმინა რა მათი პრეტენზიები, აპირებდა მეორე მხარესთან, ადმინისტრაციასთან შეხვედრას. საქართველოს ადამიანის უფლებების დამცველ პირველ პირს, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს ნებისმიერ დახურულ ორგანიზაციაში შესვლის უფლება, ხელწვდომა სახელმწიფო საიდუმლოს მქონე დოკუმენტაციისა და სხვ. კომპანიის ადმინისტრაციის დაცვამ იგი შენობაში არ შეუშვა. რაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია.**

**პრეტენზიების მოსმენის შემდეგ კომპანიის წარმომადგენელი ღია ეთერით გაქცევას შეეცადა. შოუს წამყვანის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, იგი დარბაზში დაბრუნდა. პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გაფიცულებს დაკარგული აქვთ ხელმძღვანელობისადმი ნდობა, რომელიც მათ მთელი 9 წლის განმავლობაში ტყუილებით კვებავდა. პეტრიაშვილის განცხადებით, ძველი დრო აღარ არის და კომპანიამ ყურად უნდა იღოს გაფიცულთა კანონიერი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში პროფკავშირები გაფიცულებთან ერთად ყველა ღონეს მიმართავენ, რათა კომპანიის თანამდებობის პირებმა აგონ პასუხი კანონის წინაშე.**

**ზ. ბ.**

## ალიან-ჩალიანი

### არაკანონიერი სარეკლამო ომი პარტიებს შორის

**სარეკლამო დროის პარიტეტთან დაკავშირებით წარმოუდგენელი ვითარებაა, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა. მისი თქმით, დაახლოებით 10-10 მილიონი ლარის სარეკლამო დროს მიიღებენ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო არასაპარლამენტო პარტიები 10-12 ათასი ლარის ოდენობით. მისივე თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიცია უფასო რეკლამას ცენტრალურ ტელევიზიებში ვერ განათავსებს და მათ ამის უფლება მხოლოდ რეგიონულ ტელევიზიებში აქვთ.**

**მისივე თქმით, პოპულარულ ტელეარხებს დირექტივა აქვთ, რომ მთელი პოლიტიკური სივრცე უნდა წარმოადგინონ როგორც ორპოლუსიანი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“.**

### ლალი ანთია გადავადებული სასჯელის მოხდის მიზნით დააკავეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელის ლალი ანთიას დაკავების ფაქტს ადასტურებს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროში განუცხადეს, ლალი ანთია დაკავებული იყო თაღლითობის ბრალდებით და მას გარკვეული პერიოდი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარებული ჰქონდა, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სასჯელი გადავადებული ჰქონდა.**

**მათივე ინფორმაციით, ლალი ანთიას სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ შებრუნების შესახებ სამართალდამცველებს სასამართლომ მიმართა. ლალი ანთია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელი და ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის გიზო სართანიას დედაა.**

### ყალბი ფულის დამამზადებელ-გამსაღებელი

**შს სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ალექსანდრე ე. ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისში, წურწუმიას ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ის თამბაქოს სავაჭრო ჯიხურში ყალბი კუპიურის გასაღებას ცდილობდა.**

**დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ყალბი 556 ათასი რუსული რუბლი (17 850 ლარის ეკვივალენტი) და 2 ცალი ყალბი 10-ლარიანი კუპიურა, ხოლო მისი ავტომანქანის ჩხრეკისას ფერადი პრინტერი ამოიღეს.**

### ტყის უკანონო ჩეხვა ქრთამის სანაცვლოდ

**დაბა ადიგენში და ქალაქ ახალციხეში, ქრთამის აღების ფაქტზე, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადიგენის სატყეო უბნის ტყის მცველი მამუკა ე. და სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის ტყის მცველი შალვა გ. დააკავეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ მამუკა ე. და შალვა გ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის სანაცვლოდ მოქალაქეებს ტყის უკანონოდ გაჩეხვის უფლებას აძლევდნენ. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს.**

# კარიბის კრიზისიდან – უკრაინის კრიზისამდე

**2014 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს პერიოდად შეიძლება შეფასდეს. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დღემდე, სულ რამდენიმე მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომლებმაც აშკარა დაპირისპირება გამოიწვია რუსეთის წინამორბედ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. ერთი მათგანი, კარიბის კრიზისი იყო. მაშინ, საბჭოეთმა ახალგაზრდა კომუნისტური კუბის დასაცავად რაკეტები განალაგა კუნძულზე და ამერიკას დაუმიზნა.**

კარიბის კრიზისი არ იყო გამოწვეული საბჭოთა ექსცენტრული ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის აბსურდული ახირებით. მოსკოვის ნაბიჯი არ იყო გამოწვეული მსოფლიო ჰეგემონიზმით ან აშშ-ის დაჩოქების სურვილით. მას ობიექტური მიზეზები ჰქონდა, თუმცა, აშშ-ის მიერ მართული მსოფლიო მედიის მიხედვით, აგრესორი და ავანტიურისტი საბჭოთა კავშირი გამოვიდა, რომელმაც ამერიკის კონტინენტზე, აშშ-ის მეზობლად, გადაწყვიტა საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოება.

მაშინდელი მსოფლიო გულმოდგინედ გმობდა კრემლის გადაწყვეტილებას. მაშინ, არც არავის უფიქრია, რით იყო გამოწვეული მოსკოვის ეს ნაბიჯი, არც არავის დაუწერია ობიექტურად, ვითარების შეფასებით. იყო მხოლოდ გინება – ცალსახა მიკერძოებული. მხოლოდ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, კარიბის კრიზისის მეორე პლანზე გადასვლამ, გააჩინა ობიექტური შეფასების შანსი.

კარიბის კრიზისი, ხრუშჩოვის მიერ გამოწვეული, მარტო ხრუშჩოვისა არ იყო. ამ საქმეში მას ტოლს არ უდებდა აშშ-ის ადმინისტრაცია და პრეზიდენტი ჯონ კენედი. დღიდან კუბის რევოლუციისა, აშშ-ს ძალა არ დაუშურებია ფიდელ კასტროს ხელისუფლების დასამხობად. არა ერთი საზღვაო შეტევა განხორციელდა კუბის წინააღმდეგ, რამაც აიძულა საბჭოთა ხელმძღვანელობა გადაედგა რადიკალური ნაბიჯები. პრეზიდენტ კენედისა და მისი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საბჭოეთს კატეგორიულად მოეთხოვა კუბიდან რაკეტების გატანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაშინგტონი იქადნებოდა კუბის მასირებული დაბომბვით.

**მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია ხრუშჩოვის სამარცხვინო უკანდახევა და კუბიდან რაკეტების გატანის ამბავი. მხოლოდ ვიწრო წრემ იცის, რომ ხრუშჩოვი მაშინ დათანხმდა კენედის მოთხოვნას, როდესაც კენედიმ სამარადისო უარი თქვა კუბაში შეჭრაზე და თანხმობა განაცხადა თურქეთში განლაგებული ამერიკული რაკეტების გატანაზე.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმჟამინდელი ბატალიები კარგა ხანია ისტორიის კუთვნილებაა, თვით კარიბის ზღვის კრიზისიც ისტორიისა და ექსპერტების იშვიათი განხილვის საგანია.

უკრაინის მოვლენები, ცხადია, განსხვავებულია კარიბის კრიზისისგან, თუმცა რაღაცით წააგავს კიდევაც. ამჯერად, აშშ-ია რუსეთის ზღურბლთან, მაგრამ შეცვლილი პოლიტიკით, თანაც უხილავით და არა რაკეტებით. ამჯერადაც, პროპაგანდისტული მანქანა აშშ-ის ხელშია. ამჯერადაც, გამათრახებულია საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთი აგრესიული ზრახვებისთვის. ისე, როგორც კარიბის კრიზისის დროს, საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთი, აგებს მედიურ ომს.

ძნელია კონკურენცია გაუწიო დასავლურ პროპაგანდას – ორგანიზებულს, უხვად დაფინანსებულს, თითო-ოროლა რუსული ტელეკომპანიით ან რუსულენოვანი გაზეთით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მცდელობა, გაეშავებინათ მემკვიდრე რუსეთი, წარმატებით გაგრძელდა – ჩეჩნეთის ომით, რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის საბაბით და ა.შ.

საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთი, ისეთივე კაპიტალისტური სახელმწიფოა, როგორც აშშ, სხვა ქვეყნები. აღარ არის კომუნისტური იდეოლოგია. რუსეთის დღევანდელი იდეოლოგია ფულია, ისე, როგორც დასავლეთის. მილიარდერთა რაოდენობით რუსეთი მხოლოდ აშშ-სა და ჩინეთს ჩამორჩება. ასე რომ, სოციალისტურ-კომუნისტური სისტემა არაფერ შუაშია, წარმოჩენილია მსოფლიო ჰეგემონიზმი.

**საბჭოეთის დაშლის შემდეგ მსოფლიოს ერთმმართველად მოვლენილი აშშ ვერ ეგუება წინააღმდეგობას და მოწინააღმდეგეთა მოწოდებას ერთპოლუსიანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანად გადაკეთებისთვის. ვაშინგტონის სურვილია, მთელმა მსოფლიომ იაზროვნოს ისე, როგორც თვით აზროვნებს; უყოყმანოდ შეასრულოს მისი დავალება; ყველამ იომოს იქ, სადაც ვაშინგტონს სურს; მტრად შერაცხოს ყველა, ვინც ვაშინგტონის დიქტატს არ ემორჩილება.**

ვაშინგტონის მსოფლიო ბატონობას უზრუნველყოფს დახვეწილი სამხედრო მანქანა, მსოფლიოში განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზები, ბირთვული იარაღი, საფინანსო სისტემა - მსოფლიო ბანკითა და სავალუტო ფონდით. ვაშინგტონის ჰეგემონიზმის განმტკიცებას ხელს უწყობენ მისი ნატოელი და ევროკავშირელი მოკავშირეები. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მტრისა და მოყვრის 24-საათიანი მოსმენა, მართული მედია.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ ვაშინგტონის ყურადღების სრული კონცენტრაცია პოსტსაბჭოთა სივრცის ათვისებაზე იყო მობილიზებული. იმჟამინდელმა, ელცინის სუსტმა რუსეთმა, რომელიც შვებას და დახმარებას ვაშინგტონში ეძებდა, იმდენად დააჩანაკა რუსეთის პოზიციები, განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე, მის აზრს არც არავინ კითხულობდა. რუსეთის სისუსტემ მძიმე შედეგები გამოიღო არა მარტო ევროპაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, შორეულ აღმოსავლეთში. მარტო იუგოსლავია რად ღირს! აშშ-მა და ნატომ თავს უფლება მისცეს ბომბებით გასწორებოდნენ მილოშევიჩის რეჟიმს.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დაშლილ იუგოსლავიაში ჯერაც არასახარბიელო ურთიერთობებია.

მძიმე ვითარებაა ნაომარ ერაყში, სადაც არა მარტო რელიგიურ ნიადაგზე გაღვივებული დაპირისპირებაა, არამედ გაქანებული სეპარატიზმიც.

აშშ-ის სპეცსამსახურების მხრიდან თავისებურად ინსპირირებულმა არაბულმა რევოლუციებმა, ცხოვრებისთვის გაუსაძლისი პირობები შექმნა. ანალოგიური ვითარებაა ლიბიაში, სირიაში. იქ სადაც აშშ აქტიურად იყენებს ფარულ თუ ღია მეთოდს საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ვაშინგტონის ხელი იგრძნობა ყველგან და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.

**რუსეთის სისუსტით გამოწვეულმა ინდიფერენტიზმმა ხელ-ფეხი გაუხსნა ამერიკას აქტიური, ფარული ოპერაციების განხორციელებაში, რასაც მოჰყვა ფერად-ყვავილოვანი რევოლუციები. მათგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი საქართველოსა და უკრაინაში. ცხადია, რევოლუციები უხილავი ამერიკული ძალის ხელშეწყობით განხორციელდა, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ადგილობრივი კადრების ამერიკულად აღზრდას, რევოლუციებისთვის საჭირო ტექნოლოგიების სწავლებას, ტრენინგებს და სხვა.**

საკუთარი შიდა პრობლემებით დაკავებულ რუსეთს, სერიოზული წინააღმდეგობის გაწევისთვის არ ეცალა. თვით რუსეთში მომძლავრდა აშშ-სგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა. გაიზარდა დასავლური ცხოვრებისა და ღირებულებების მეხოტბე ჟურნალ-გაზეთების ტირაჟები; გაფართოვდა ანტირუსულად, ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ტელე-რადიო გადაცემების რაოდენობა; გააქტიურდა საბჭოთა სისტემის დამგმობი პროპაგანდა; ზენიტში ავიდა დასავლური ღირებულებების ქებათაქება.

რუსეთის ხელისუფლებამ ვერაფერი ქმედითი ვერ დაუპირისპირა არასამთავრობო სექტორის მიერ ქადაგებულ ანტისამთავრობო რიტორიკას. შიდა საკითხებზე გადატანილმა ყურადღებამ, გზა გაუხსნა პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის უკონკურენციო მოქმედების. მან არა მარტო პოლიტიკური ელიტის აღზრდა მოახერხა, არამედ ხელისუფლებაშიც მიიყვანა იგი მოლდოვაში, საქართველოში, უკრაინაში.

და როდესაც 2004 წლის რევოლუციებმა ისე ვერ გაამართლა, როგორც ვაშინგტონს სურდა, დაიწყო პოსტსაბჭოთა სივრცის ათვისების ახალი ეტაპი. ამ მხრივ გამოვყოფდი უკრაინას. უკრაინა სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს რუსეთის სიმტკიცეში. დასავლეთისთვის ეს ყოველთვის იყო ცნობილი. „რუსეთის წაქცევა გაცილებით იოლი იქნება, თუ მას უკრაინას ჩამოვაშორებთ", – ამბობდა ბისმარკი.



რუსეთის დასასუსტებლად და დასაშლელად ევროპაში ფეხშედგმული ამერიკაც უკრაინის რუსეთისგან მოგლეჯვას მიიჩნევდა. მაგრამ ეს იყო წარსულში. არის თუ არა რუსეთისთვის, უკრაინის წართმევის თემა აქტუალური დღეს?!

არის და არა ნაკლებ, ვიდრე იყო წარსულში. საბჭოეთის დაშლისთანავე უკრაინის წაგლეჯვის თემამ სხვა ელფერი შეიძინა. თვით ამერიკელთა განცხადებით, უკრაინაში ანტირუსული „ბაცილის" გაღვივებას 5 მილიარდი დოლარი დასჭირდა. ვაშინგტონმა გამოიყენა დასავლეთ უკრაინის ნაციონალიზმი, ანტირუსული განწყობა, კორუმპირებულობა. ამერიკელი ექსპერტების მეცადინეობით უკრაინაში შეიქმნა ის, რასაც მაიდანი ჰქვია.

იატაკქვეშა ამერიკულ ქმედებას რუსეთმა ვერაფერი დაუპირისპირა. უფრო მეტიც, დასავლეთი, მას ყასიდად ეკითხებოდა აზრს უკრაინასთან მიმართებაში. და მოხდა ის, რაც მოხდა, ანუ პრეზიდენტ იანუკოვიჩის ჩამოგდება, „რევოლუციური" მთავრობის აღზევება. და ამერიკელთა მხრიდან ანტირუსული პოლიტიკის გატარება – რუსული ენის აკრძალვის მცდელობით დაწყებული, ნატოში და ევროკავშირში უკრაინის გაწევრების მცდელობით დამთავრებული.

„რევოლუციურმა" დასავლეთ უკრაინამ, აშშ-ის სპეცსამსახურების, პოლიტიკოსების, ექსპერტების, ჟურნალისტების აქტიურობით, არათუ ლეგიტიმური ხელისუფლება დაამხო, არამედ რუსულენოვან მოსახლეობასაც გაურთულა ცხოვრება.

რა მიიღო უკრაინამ დამოუკიდებლობის 23 წელიწადის განმავლობაში? როგორც უცხოელი, ისე უკრაინელი ექსპერტების მიხედვით, კარგი არაფერი. აღმოსავლეთ უკრაინაში მოქმედი უკრაინის ეკონომიკა, მხოლოდ რუსეთის შეკვეთების შესრულებით ცდილობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის რაღაც დონეზე შენარჩუნებას. ერთ დროს, 45-მილიონიანი მძლავრი – მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით განთქმული, მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის საშური მწარმოებელი, საბჭოთა რესპუბლიკა მძიმე კრიზისშია.

რა მიიღო უკრაინამ? ოლიგარქიული მმართველობა, სახალხო დოვლათის დატაცებით გასუქებული მილიონერ-მილიარდერების ქვეყანა. დღეს, სენსაციურად აჩვენებენ პრეზიდენტ იანუკოვიჩის საცხოვრებელ სასახლეს, მაგრამ ვნახოთ როგორ ცხოვრობენ ხელისუფლებაში მისული „რევოლუციონერები".

ტელეკამერამ აღბეჭდა იულია ტიმოშენკოს ვილა. ისიც ითქვა, რომ ეს ვეებერთელა სახლი ერთ-ერთია მხოლოდ. უკრაინის პროკურატურა ტიმოშენკოს მილიონობით დოლარის მითვისებაში დებს ბრალს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა პოროშენკოს სვეტებიანმა სასახლემ, იაცენუკის ვილამ და ა.შ. საიდან ასეთი სიმდიდრე? ამაზე ნამდვილად ვერავინ იტყვის – ბებიამ დამიტოვა ან პატიოსანი შრომით შევიძინეო.

და ეს ყველაფერი ხდებოდა ოკეანისგაღმული მასწავლებლების თვალწინ, ევროკავშირის მაღალჩინოსნების დაყვავებით, მაშინ, როდესაც უკრაინას, სისხლით და ხორცით მოძმე რუსეთის წინააღმდეგ ტრენინგებს უტარებდნენ, როდესაც ბანდერას მიმდევრებს რუსეთის სიძულვილს უნერგავდნენ. 23 წლის განმავლობაში ვერც აშშ-მა და ვერც ევროკავშირმა ვერ, იქნებ არ, დაინახა საით მიექანებოდა უკრაინა.

ვერ დაინახა, იმიტომ, რომ სხვა „იდეალები" ამოძრავებდა – რუსეთის დაქცევა რომ ჰქვია – უკრაინის წართმევით, მისი ნაციონალური „ბაცილის" გაღვივებით. ნორმალური უკრაინელები სატელევიზიო თოქ-შოუებშიც ხაზგასმით სვამდნენ ასეთ კითხვას – რა მიიღო უკრაინამ დამოუკიდებლობის მოპოვებით და თვითონვე პასუხობდნენ – მომღერალი რუსლანა და მოკრივე ძმები კლიჩკოები.

რუსული მოსახლეობით გაჯერებული, მშრომელი აღმოსავლეთი უკრაინა ყოველთვის მიიჩნევდა და მიიჩნევს რუსეთს ერთადერთ დამცველად, მხსნელად. და ეს არ არის გასაკვირი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში „რევოლუციური" სული ტრიალებს; როდესაც „რევოლუციონერები" რუსული ენის აკრძალვას მოითხოვენ; როდესაც იმუქრებიან რუსული სკოლების დახურვით; როდესაც 10 მილიონზე მეტ რუსს ძალით აყურებინებენ კინოფილმებს უკრაინულ ენაზე; როდესაც ახალი ვიცე-პრემიერი დიმიტრი იაროში საჯაროდ ითხოვს ჟიდებისა და მოსკალების განადგურებას და ამ საქმეში დახმარებას თხოვს ჩეჩენ დოკუ უმაროვს.

ეს, ის იაროშია, რომელიც დუდაევის გვერდით იბრძოდა საძულველი რუსეთის წინააღმდეგ. სწორედ მისმა და კლიჩკოს პარტიის წევრებმა ძალისმიერად დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები. იქ მომუშავე პირები ფიზიკურად შეურაცხყვეს, ზოგი რკინის ბოძს მიაჯაჭვეს, ცემეს და ყინვაში ცივი წყალი გადაასხეს.

არაადამიანურმა, ველურმა ქცევამ შეაშფოთა აღმოსავლეთი უკრაინა, ყირიმი, რუსულენოვანი მოსახლეობა. ბევრმა მათგანმა – ბოლო მონაცემებით 140 000-მა რუსეთის საზღვარი გადაკვეთა, თავის გადარჩენის მიზნით. და როდესაც ოფიციალურმა მოსკოვმა არაერთხელ მიმართა ამერიკა-ევროპას – უკრაინის ვითარების სერიოზული, საფუძვლიანი შესწავლისკენ-დასავლეთის მხრიდან იყო მონოტონური განცხადება, რომ ყველაფერი კანონიერების ჩარჩოში მიმდინარეობს.

**მხოლოდ ბრმამ შეიძლება, სალაღობო გასეირნებად ჩათვალოს კიევის მაიდანზე ამერიკელი სენატორების, მათ შორის მაკკეინის მიერ მომიტინგეების მხარდაჭერა, რევოლუციისკენ მათი მოწოდება, სხვა სენატორებისა და კონგრესმენების, დიპლომატების სისტემატური ვიზიტები.**

გადატრიალებამდე, სამი თვის განმავლობაში, ერთ დღესაც არ ჩაუვლია ისე, რომ მომიტინგეები არ გაემხნევებინათ ევროკავშირელ მაღალჩინოსნებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს და ა.შ.

**კვირას ისე არ ჩაუვლია, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს მკაცრი ტონით ტელეფონით არ ელაპარაკა იანუკოვიჩთან. ვიცე-პრეზიდენტი იანუკოვიჩისგან ითხოვდა ძალის გამოუყენებლობას, თუმცა არაფერს ამბობდა მომიტინგეთა მიერ ძალის გამოყენებაზე. ან რა უნდა ეთქვა? ვითარება ხომ ისე მიდიოდა, როგორც ამერიკული სცენარით იყო გათვალისწინებული? ანუ კანონიერი პრეზიდენტის დამხობა და ახალი, რევოლუციური ხელისუფლების გამეფება.**

დასავლეთი, რომელიც თავ-ფეხიანად იყო გადაშვებული უკრაინული რევოლუციის მორევში, მოსკოვს აფრთხილებდა - არ ჩარეულიყო უკრაინის საშინაო საქმეებში. ის, რაც დასაშვები იყო – ათასობით კილომეტრზე მყოფი აშშ-სთვის, დაუშვებელი იყო მეზობელი რუსეთისთვის.

დასავლეთმა დაამხო არჩევნების გზით მოსული, იანუკოვიჩის ხელისუფლება, იმ არჩევნებით, რომელიც აშშ-მა და ევროკავშირმა წარმატებულად ჩათვალეს. მაშ, ისეთი რა შეიცვალა ორწელიწადნახევარში იანუკოვიჩის პიროვნებაში, რომ ასერიგად გაეწირა დასავლეთს? ზოგი ამბობს ვილნიუსის სამიტის განაწყენებასო, ზოგიც რას და ზოგიც რას.

ვილნიუსის სამიტზე ასოცირების დოკუმენტზე ხელმოწერის უარის თქმა, ცხადია იყო იანუკოვიჩის წინააღმდეგ აგორებული რისხვის საბაბი, მაგრამ არა მთავარი. მთავარი ის იყო, რომ დასავლეთმა არასანდო იანუკოვიჩის შემცვლელები გამოძებნა და მის წინააღმდეგ მომავალ წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების მზადებას შეუდგა, ცხადია, შესაბამისი შედეგების მიღებით, ანუ იანუკოვიჩის დამარცხებით. ვილნიუსის სამიტმა დააჩქარა ეს პროცესი.

დღეს, უკრაინის ამბუნტებელი აშშ და ევროკავშირი, მშვიდობის მტრედებივით, საყოველთაოდ გაჰყვირიან რუსული აგრესიის თაობაზე, გმობენ პუტინს და რუსეთის დუმას, პუტინისთვის სამხედრო მოქმედებაში ხელ-ფეხის გახსნის გამო.

მაინც რამხელა ცინიზმია ჩაქსოვილი ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანთა განცხადებაში, რომ ყირიმისა და აღმოსავლეთი უკრაინის მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო, მისი შიში, უსაფუძვლოა და გამოგონებულია პუტინის მიერ.

**დასავლეთმა აიძულა რუსეთს გადაედგა ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა აშშ ან ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, ამერიკელს ან ევროპელს განადგურებით რომ დამუქრებოდნენ?**

საინტერესოა, რას იზამდა ობამა პუტინის ადგილზე, ამერიკელებს, რომ დახმარებისთვის მიემართათ?

საინტერესოა, რატომ გაგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, ყოფილ კოლონია – ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო კონტინგენტი?

მაგრამ, როგორც ჩანს, ის, რაც დასაშვებია დასავლეთისთვის, დაუშვებელია რუსეთისთვის. რუსეთს ძვირად დაუჯდება უკრაინაში შეჭრაო, – ბრძანა ობამამ.



**თუ რამ ძვირად დაუჯდება რუსეთს, უკრაინის დაკარგვაა. შენელდება ყურადღება უკრაინის მიმართ, ფრონტის ხაზი რუსეთისკენ გადაიწევს და რომ ეს არ მოხდეს, პუტინმა მიიღო მძიმე, მაგრამ საკუთარი ქვეყნის გადასარჩენი გადაწყვეტილება.**

**რუსეთის დაქუცმაცების პროექტი კარგა ხანია არსებობს ვაშინგტონში, რაც თავისთავად იწვევს კრემლის ობიექტურ რეაგირებას.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

ფინანსები

# ნოდარ ხადურის ეკონომიკური ოპტიმიზმის საფუძვლები

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, 2014 წლის პირველ ორ თვეში მისმა უწყებამ 13 პროცენტით მეტი გადასახადი აკრიფა, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. საგადასახადო შემოსავლების მატება თან სდევს ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალ დონეს, რომელიც, დაახლოებით, 8 პროცენტს შეადგენს. ასეთი მაჩვენებლები საქართველოს მთავარ ფინანსისტს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაუმჯობესებულია მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, საგარეო ვაჭრობა 15 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან იანვარში იყო. შედეგების გაუმჯობესება აღინიშნება სოფლის მეურნეობის დარგში და მშენებლობის სექტორში. ეს ყველაფერი კი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე აისახება, რომელმაც მიმდინარე წლის პირველ თვეს თითქმის 8 პროცენტი შეადგინა. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ბიუჯეტის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეც საუბრობს: **პირველი ორი თვის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებულია, დაახლოებით, 37 მილიონი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია მილიარდ 188 მილიონი ლარი...**

ნოდარ ხადური: **„თითქმის 113 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები საქართველოს ბიუჯეტში. ამ მატებიდან 65,3 მლნ ლარი იანვრის თვეზე მოდის, ხოლო 47,5 მლნ ლარი — თებერვალზე. 2014 წლის იანვარ-თებერვალში, გადასახადების სახით, ბიუჯეტში მობილიზებულია 982,9 მლნ ლარი. მიმდინარე წლის იანვარში, 2013 წლის იანვართან შედარებით, დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი საწარმოების ბრუნვა გაიზარდა 15%-ით და 3 მილიარდ 567 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის გაზრდილია: სოფლის მეურნეობა — 84,0%-ით, მშენებლობა — 43,0%-ით, კომუნალური მომსახურება — 30,0%-ით, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა — 12,0%-ით“.**



ეს განცხადება ნოდარ ხადურმა 5 მარტს გააკეთა, ხოლო 6 მარტს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას, საგადასახადო შემოსავლების გეგმის გადაჭარბების შესახებაც ილაპარაკა: **„პირველი ორი თვის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებულია, დაახლოებით, 37 მილიონი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია მილიარდ 188 მილიონი ლარი. ეს ყველაფერი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ, ეკონომიკის აქტივობის მერყეობიდან გამომდინარე და სეზონურობიდან გამომდინარე, დავასკვნათ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტს არანაირი პრობლემა არ ექნება“.**

როგორც წესი, წლის დასაწყისში საგადასახადო შემოსავლების ზრდა ფიქსირდება ხოლმე, იმიტომ რომ გაზაფხულის დასაწყისში კომპანიებს უწევთ წლიური დეკლარაციების შევსება და გადასახადების გადახდა. გასული წლის დასაწყისშიც ასეთი ტენდენცია იყო...

* * *

ფინანსთა მინისტრი იმასაც ფიქრობს, რომ ასეთ ფონზე ეკონომიკის დაგეგმილი 5-პროცენტიანი ზრდა სრულიად რეალისტურად გამოიყურება. ნოდარ ხადურისგან განსხვავებით, ფრთხილ პროგნოზებს აკეთებენ ეკონომიკის ექსპერტები. მათ შორისაა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჯანიაშვილი. ის ფინანსთა მინისტრის ერთი წლის წინანდელ ოპტიმისტურ განცხადებებს იხსენებს, რომელიც 2013 წლის დასაწყისში მაღალ საბიუჯეტო შემოსავლებს უკავშირდებოდა, მაგრამ მეორე და მესამე კვარტალში ყველაფერი შეიცვალა და არათუ გადაჭარბება, დაგეგმილის შესრულებაც ვერ მოხერხდა: **„როგორც წესი, წლის დასაწყისში საგადასახადო შემოსავლების ზრდა ფიქსირდება ხოლმე, იმიტომ, რომ გაზაფხულის დასაწყისში კომპანიებს უწევთ წლიური დეკლარაციების შევსება და გადასახადების გადახდა. გასული წლის დასაწყისშიც ასეთი ტენდენცია იყო — ზრდა დაფიქსირდა წლის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ, გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში, თავი იჩინა პრობლემებმა“.**

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც წლის დასაწყისში ბიუჯეტის გეგმის გადაჭარბებით შესრულების საშუალებას იძლევა ხოლმე. ეს არის თავად გეგმის ფორმირების წესი, რომელიც მინისტრს კვარტალური გეგმის მაჩვენებლების ცვლილების საშუალებას აძლევს. ეკონომიკის ექსპერტი მერაბ ჯანიაშვილი საგადასახადო შემოსავლების ზრდის სხვა ფაქტორებზეც საუბრობს: — **„ეს მცირე ზრდა შემოსავლებში რაღაც განსაკუთრებულს არ ნიშნავს, იმიტომ რომ, თუ ეკონომიკა იზრდება და წინ მიდიხარ, ყოველ წელს უნდა გქონდეს შემოსავლებში ზრდა, თუ გადასახადებს არ შეამცირებ ან დასაბეგრი ბაზა არ შეამცირე. წინა წელს ჩვენთან გადასახადები არ შემცირებულა. პირიქით, რამდენიმე გადასახადი გაძვირდა. სწორედ ამას შეიძლება მივაწეროთ ის, რომ საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა. რაღაც განსაკუთრებული ეკონომიკური გარღვევა რომ არ გვქონია, ამას ყველა ხედავს“.**

არადა, სწორედ „განსაკუთრებული ეკონომიკური გარღვევის“ აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობს, ეკონომისტებთან ერთად, საქართველოს მთავრობაც.

**ინვესტიციების წასახალისებლად საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მმართველი პოლიტიკური ძალის დამაარსებელმა ბიძინა ივანიშვილმა 6-მილიარდიანი „თანაინვესტირების ფონდი“ შექმნა, მაგრამ ჯერჯერობით ამას საქართველოში ინვესტიციების ბუმი არ გამოუწვევია. 2013 წელი 2012 წლის მსგავსი საინვესტიციო მაჩვენებლებით დასრულდა.**

**კახა მჭედლიძე**

ნატურიდან

# ქუჩაში მოლაპარაკე კაცი

მე მას უბრალოდ ასე შევარქვი — „ქუჩაში მოლაპარაკე კაცი“. რა თქმა უნდა, შუახანს მიღწეული ამ ხმელ-მჭლე პერსონისათვის, რომელიც ჩემ წინ აგდებული ნაბიჯებით მიმავალი ხმამაღლა მილაპარაკობდა, მისი გარეგნობის, მოკლე „ქურთუკისა“ და გრძელი ცხვირის მიხედვით, თავისუფლად შემეძლო „მშიერი ინტელიგენტი“, ან თუნდაც „ნაბახუსევი კაფელის“ ხელოსანი მეწოდებინა, მაგრამ კარგად რომ ავწონ-დავწონე, ისევ პირველი ვარიანტი ვამჯობინე. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს იმასთან, რასაც მისი ბაგენი ღაღადებდნენ:

— ხედავთ, ხალხო! — გაჰყვიროდა მოჭრილად, — ამ ნამუსჩარეცხილ ნაციონალებს ჯერ ძველი ცოდვებისთვის არ უგიათ პასუხი და უკვე ხელისუფლებაში „მეორე მოსვლით“ გვემუქრებიან.

— აი, ნახავთ, ამ გაზაფხულის გველებივით გაიძრობენ ტყავს, განახლდებიან და ჩვენს ასახდენ ოცნებას ეგენი აიხდენენ.

— ყველაფრის ღირსები ხართ, მეოცნებენო (დასჭექა ორატორმა), მაგათთვის რომ დროულად ამოგერტყათ ჭიტლაყი, მაშინვე საკუთარ ბუნაგში შეძვრებოდნენ და უდროოდ დაყრილი ლეკვებივით იწკმუტუნებდნენ.

— არა, ნამდვილად გაკვირვებული ვარ, ამ ევროკავშირისა და ნატოს უპრაგონო ძახილში, მგონი იმასაც ვკარგავთ, რაც შარშან ოქტომბერში მოვიპოვეთ.

— კარგი, ჩემო ბატონო, ტარიფების განახევრებას, 100-დოლარიან პენსიებს და სოციალურ შემწეობებს თუ ფული უნდა, სამართლიანობის აღდგენასაც ხომ ფული არ სჭირდება?

— რა გახდა ეს იგულავაა თუ უგულავა, ბერაჭიაშვილი თუ ჭიაბერაშვილი და ძმანი მათნი, რომ ვერასგზით ვერ მოაყუჩეს ვირის აბანოში, ნუთუ ასე იოლად უნდა შეიტყაპუნონ ხალხის მილიონები?

— არა, ძმაო, ეს უკვე დემოკრატია აღარ არის! — გააკრაჭუნა კბილები ინტელიგენტმა, — აბა, მოუსმინეთ ტელეეკრანიდან გაბაშვილს, ვაშაძეს, კანდელაკს, წიკლაურს, თაქთაქიშვილს, ნადირაშვილს და უმალ მიხვდებით რა დემოკრატიის მშენებლებიცა ვართ.

— არა, ეს ოცნებელები ნაცებთან მართლა „შეკრულები“ თუ არ არიან (ხალხი უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობს მათ ურთიერთგარიგებაზე), იმათ დაკრულზე „მიშურს“ რატო ტლინკაობენ?

— ფული ტრიალებს, ბატონებო, ფული! — იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა (მე შემეშინდა და რომელიღაც სქელტრ...კას, მგონი ხადურს, ამოვეფარე), მთელი 9 წელიწადი წველეს მართლაც მეწველ ძროხად ქცეული საქართველო ამ ისეც გაღლეტილებმა და ასეც გაღლეტილებმა...

— მეც მომაპარინეთ, ბატონებო, 80 მილიონი (ეტყობა, ამასაც გაეხსნა მადა!) და ელექტრობრასლეტსაც გავიკეთებ და კუსტარულ აშეინიკსაც, თავის ელექტროდებით დამუხტული საყურეებით.

ამის მერე თითქოს იყუჩა მობობოქრე ორატორმა, მაგრამ მალევე წამოენთო:

— ბიძინამ, იმის მაგივრად, რომ იმათთვის შეეტია, ისევ აქეთ დაგვმოძღვრა — მეტი იუმორით მიუდექით ნაციონალების უტიფრობასო(?!). მეტი რანაირი იუმორით მივუდგეთ? 10 წელია, ჯამბაზებად ვიქეცით, დავცინით, ბატონო, და მეტი რა ვქნათ, ალყას ხომ არ შემოვარტყამთ?

— აგე, ამდენი დაცინვისგან ვანო ერთბაშად დაბერდა. ამას წინათ შვილის წერილი რო წაიკითხა, დედაკაცივით აქვითინდა. ეგ თუ კაცი იყო, რატო სხვის შვილებზე არ ფიქრობდა, ამდენ ბოროტებას რომ სჩადიოდა?

— უკრაინელი ტიმოშენკო რომ გამოუშვეს (ასეთ ამინდში მისი გარეთ გამოგდება იქნებოდა?), ვანო ახლა ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, მეზობელ კორპუსში სინათლე რომ აქვთ, შენ კი ჩაბნელებულში ზიხარ!

ტიმოშენკოსთან დაკავშირებით, ქუჩის ორატორს, როგორც ჩანს, კიევში, მაიდანზე დატრიალებული ტრაგედია გაახსენდა და დაიბოღმა:

— გამაგებინეთ, ხალხო, — შემოგვიტრიალდა ქუჩაში მიმავლებს, — იმ ნარინჯისფერ რევოლუციაში მართლა უკრაინამ გაიმარჯვა თუ რუსეთმა? ჰოდა, აი ამ ხალხს, ჩვენცა და უკრაინელებსაც, როცა კარგად არ ვიცით, რა გვინდა, ვითომ გვინდა ევროკავშირში? ან სააკაშვილს რა უნდა უკრაინაში, ამდენი ქაქანით ყბები რომ გადაიღლიტა? სწორედ მაგისთანეზეა ნათქვამი — ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო. თუმცა, როგორც ამბობენ, მიშა თურმე ჩვენი კი არა, ამერიკელების ძაღლი ყოფილა და ამიტომ არაფერს ერჩიან...

— ჩვენო დემოკრატიულად დაბნეულო მეოცნებენო, მერე ყველას ერთად თავში საცემი რომ არ გაგვიხდეს, დროა მაგ მოსქელო ყურებიდან ახლავე გამოიძროთ „ნაციონალ-კოჰაბიტაციურ-დემოკრატიული“ ტამპონები!

ამის თქმა იყო და ქუჩაში მოყალაღინე ორატორს უკნიდან ჩვენი ოჩოპინტრე ბენიტო არ წამოეწია?!

— ვალერა, შე ჩემა, — დაქაჩა სახელოზე ძმაკაცმა, — გაგიჟდი, ტო, რეებსა ყბედობ?

— რატო ფიქრობ, რომ გავგიჟდი?

— სხვა რა ვიფიქრო, ქუჩაში, როგორც წესი, მხოლოდ გიჟები ლაპარაკობენ.

— ეს თუ სიგიჟედ ჩაითვლება, მაგასაც ვნახავ, ძალიან რომ არ გავაღიზიანო ერთმანეთს ჩახუტებული „ოცნება“ და „ოპოზიცია“, უბრალოდ, წერტილოვან დარტყმებს ვაყენებ...

— წერტილოვანია თუ უწერტილო, მაინც საშიშია, ჩემო ძმაო, აგერ ახლაც შევნიშნე, ვიღაც მელოტი კალმოსანი კუდში მოგყვებოდა და შენი ნალაპარაკევი უბის წიგნაკში გადაჰქონდა.

— ვინ იყო, ვერ იცანი?

— ზუსტად ვერ გეტყვი, მგონი, ჩართოლანსა ჰგავდა. მაგის ამბავი ხომ იცი, შენს ნათქვამს სულ სიტყვა-სიტყვით აკენკავს, მერე თავის ნაბოდვარს მიამატებს და გაზეთში გამოგიჭენებს.

— მასეთ მაიმუნობას მიჩვეული ვარ. მარტო ჩართოლანი კი არა, სხვა მაგნაირებიც დამყვებიან კუდში, ჩემ ნალაპარაკევს იწერენ და მერე გაზეთში ხალხის აზრად ასაღებენ. ვითომ მთავრობას აშინებენ, აი ნახეთ, ქუჩაში მიმავალი ხალხი თქვენზე რეებს ლაპარაკობსო.

— ხალხს რას დააკლებენ, მაგრამ შენ მაინც ფრთხილად იყავი, სხვა თუ არაფერი, ხომ შეიძლება ჯიბეში რამე ჩაგიდონ?

— მაგათ რა უნდა ჩამიდონ, ტო, დილას შინიდან რო გამოვედი, მე თვითონ ჩავიდე. ესა თქვა და ქურთუკის ჯიბიდან ნახევარლიტრიანის თავი გამოაჩინა.

— ეგრე რა, რა შორიდან მემარიაჟები, ტო, — გაიბადრა ბენიტო, — რაღა შორს ვიაროთ, აგერ აქვე შევიდეთ ბალში და ხელისუფლებას, რომელსაც ყურები კოჰაბიტაციურ-დემოკრატიული ტამპონებით აქვს დაგმანული, წერტილოვანი დარტყმები გავუგზავნოთ...

...ამაოდ ცდილობენ ვალერა და ბენიტო, თავი ლოთებად მომაჩვენონ. არაფერი გამოუვათ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლოთებიც ხალხში შედიან, და მეორეც, მთავრობამ და ოპოზიციამ ხომ უნდა იცოდნენ, სხვებთან ერთად ლოთები მათზე რას ფიქრობენ?



**ოტია ჩართოლანი**

◉ შრომითი კანონმდებლობა

# კვლავაც ლამის ბატონყმური ურთიერთობა?!

**საქართველოს სამართლებრივ სივრცეში კანონების შესრულების ხარისხს თუ დავაკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პარლამენტის კანონშემოქმედება საკუთარი გზით მიმდინარეობს, მიღებული კანონების პრაქტიკული ხორცშესხმა კი თვითდინებაზეა მიშვებული. ბოლო წლების მანძილზე საზოგადოება არაერთგზის დარწმუნდა, რომ თუ რომელიმე კონკრეტული კანონის დებულებათა დაცვაში გარკვეული გავლენიანი ძალები ანდა, სულაც, ამავე სტატუსის მქონე პირები არ ჩაერთვებიან, ისინი ისევე „უმეტყველოდ", მხოლოდ ქაღალდზე რჩებიან, რადგან მათი შესრულებით თავს ჯეროვნად არავინ იწუხებს. ახლა ასეთივე რამ, როგორც დავინახავთ, ახალ „შრომის კოდექსს" მოსდის, რომლის ცალკეულ დებულებათა შესრულებით სამუშაო ძალის დამქირავებლები თავს ნაკლებად იწუხებენ.**

ლაპარაკია, კერძოდ, დამქირავებლებსა და დაქირავებულთ შორის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების კანონით მიღებულ ნორმაზე, რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება დაქირავებული მუშაკის უფლებების დაცვაა, რაც წლების მანძილზე ქვეყანაში იგნორირებული იყო: ყველამ კარგად ვიცით, რომ ხალხს სამსახურიდან პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების, ასაკის, სქესისა და სხვა ნიშნების მიხედვით ათავისუფლებდნენ. საზოგადოებაში დიდი იმედი იყო, რომ ახალი შრომითი კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ ეს პრობლემური საკითხი ორივე მხარის უფლება-მოვალეობათა გამიჯვნით სამართლიანად გადაწყდებოდა და ეს, ძირითადად, აქამდე უუფლებო დაქირავებულებს უფრო ეხებოდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, დამქირავებლებისთვის – დიდი კომპანია იქნება ეს თუ მცირე საწარმო – კანონის მოთხოვნას, რომლის შესრულებაზე ზედამხედველი არავინაა, დიდ ყურადღებას არავინ აქცევს და ყველაფერი ადრე გაკვალული გზით მიდის.

ამის დასტური თუნდაც ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ ჩატარებული გამოკვლევაა, რომლის მიზანი საქართველოში შრომის ბაზრის შესწავლა იყო. ანგარიშის ავტორებმა ბაზარზე მოქმედ ორ ათეულზე მეტ ცნობილ კომპანიაში ახალი „შრომის კოდექსით" გათვალისწინებული პირობების შესრულება შეისწავლა. ფირმები ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა: მათ სანდოობის მაღალი დონე და მსხვილი გადამხდელის სტატუსი უნდა ჰქონოდათ. ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში, გამოკვლევის ავტორებმა მთლიანად 22 ცნობილი კომპანია შეარჩიეს, მათ შორის **„კაუკაზუს ონლაინი", „კოკა-კოლა", „მაგთიკომი", „ყაზტრანსგაზ-თბილისი", „საქართველოს რკინიგზა", „ბარამბო", „კაზინო აჭარა", „ნიკორა", „ალდაგი", „ლომისი", „ელიტ-ელექტრონიქსი", „გუმბათი ჯგუფი", „ნიუ-ჰოსპიტალსი", „პროკრედიტ ბანკი", „რუსთავი-2", „პსპ**



**ფარმა", „პოპული", „თეგეტა მოტორსი", „თაღლაურა", „ვისოლი",„თელასი" და „საქართველოს ფოსტა".** თუ როგორ სრულდება ჩვენში შრომითი კანონმდებლობა, ამის დადგენა თუნდაც ამ მონაცემთა თვალის გადავლებითაც ჩანს: **აღნიშნული პარამეტრებით შერჩეული ოცდაორი კომპანიიდან გამოკვლევაში მესამედზე ნაკლებმა, მხოლოდ შვიდმა მიიღო, სხვადასხვა მიზეზით პროცედურაში მონაწილეობისგან თავი თორმეტმა შეიკავა, ხოლო სამ მათგანთან, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ... კომუნიკაციის დამყარება ვერ მოხერხდა (?!).**

გამოკვლევის შედეგებით დადგინდა, რომ „შრომის კოდექსში" ხელშეკრულებების გაფორმებას მხოლოდ შვიდ კომპანიაში უზრუნველყოფენ. ესენი, კერძოდ, არიან **„ყაზტრანსგაზ-თბილისი" (შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 983 თანამშრომელთან), „ნიუ-ჰოსპიტალსი" (808 თანამშრომელი) „გუმბათი ჯგუფი" (85), „კოკა-კოლა" (365), „თეგეტა მოტორსი" (780), „მაგთიკომი" და „საქართველოს ფოსტა.** აღნიშნული ბოლო ორი კომპანიიდან, „საქართველოს ფოსტაში" შრომითი ხელშეკრულება შარშან აგვისტოს შემდეგ გაფორმდა, „მაგთიკომში" კი, შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან „შრომით კოდექსში" ცვლილებათა შეტანამდე დიდი ხნით ადრე იყო გაფორმებული.

რაც შეეხება თავად შრომით ხელშეკრულებებს, კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებათა შეტანამდე, ისინი, ძირითადად, ერთთვიანი და ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადებით ფორმდებოდა ხოლმე, სიახლეთა შემოღოების შემდეგ კი კონტრაქტების ვადიანობა ერთ წლამდე გაიზარდა.

ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, იმ კომპანიების ხელმძღვანელთა უმეტესმა ნაწილმა (ორის გარდა), რომლებსაც დაქირავებულ მუშაკებთან შრომითი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული, ამ დოკუმენტის სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადა კონფიდენციალობის პირობის დაცვის მოტივით და მათთვის ხელშეკრულებათა ასლების მიწოდება არ ისურვა.

უნდა ითქვას, რომ „ახალგაზრდა ადვოკატთა" ასოციაციამ გამოკვლევის შედეგები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს მიაწოდა, დაწვრილებით ინფორმაციას აღნიშნული საკითხის ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასაც გადაუგზავნა. ამასთან, „შრომის კოდექსის" შემდგომი დახვეწის გათვალისწინებით, გამოკვლევის შედეგად „ახალგაზრდა ადვოკატთა" ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის ავტორები რამდენიმე რეკომენდაციასაც იძლევიან. კერძოდ, **სასურველი იქნება, რომ კომპანიებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკვლევაში მონაწილეობაზე, დასმულ შეკითხვებზე სრულყოფილი პასუხები მოამზადონ და ისინი მათ ელექტრონულ მედიაში გამოაქვეყნებენ; ორგანიზაციის წარმომადგენლები, კონფიდენციალობის სრული დაცვით, მზად არიან შეხვდნენ აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ თანამშრომლებს უტყუარი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მისაღებად, შეხვდნენ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამუშაო გარემოს დადებითი და პრობლემური საკითხების თაობაზე; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კომპანიები დასმულ შეკითხვებს უყურადღებოდ დატოვებენ და არ განასაჯაროებენ, გამოკვლევის ავტორები უფლებას იტოვებენ, რომ მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე მოსამზადებელ დასკვნაში აღნიშნოს, რომ ამ ფირმებში „შრომის კოდექსის", კერძოდ სათანადო ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის,** რითაც კანონის მოთხოვნები უგულებელყოფილია, და ეს საჯარო განხილვის საგნად აქციონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ მხატვრობა

# აღმოჩნდა, რომ დიდი სამყაროს ნაწილად ყოფნა მტკივნეული და შიშისმომგვრელია



**ლადო ფოჩხუა სოხუმელია. ომის შემდეგ წყნეთში მხატვართა სახლში ცხოვრობდა. მერე – აშშ-ში, უნგრეთში... ახლა ისევ ამერიკაში დაბრუნდა. მხატვარია, ფოტოგრაფი, წერს ესეებს და ქართულ მედიაში აქვეყნებს და კიდევ – კოლუმბიის უნივერსიტეტი მას ქართულ მხატვრობაზე ლექციების წასაკითხად იწვევს. ისე დაემთხვა, რომ თბილისში ეროვნული გალერეის დარბაზებში მისი ფოტონამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ქართული მელანქოლიის ისტორია" გაიმართა; ოკეანის გადაღმა კი ნიუ-იორკის შტატში, ბრუკლინში მოქმედ გალერეა Brooklyn Box-ში (ლადო იმ მხატვართა რიცხვშია, ვინც ამ გალერეას ფლობს) მისი პოსტრმოდენისტული ნახატები გამოიფინა, ამავე დროს მან კოლუმბიის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია „ქართული საბჭოთა რეალიზმის სახე 1919-1991 წლების მხატვრობაში და დიზაინში". ბრუკლინურ ექსპოზიციაზე გამოიფინა ლადო ფოჩხუას ფიგურატიული ნამუშევრები, რომლის თემა იყო იმპერიის დაცემა. როგორც თავად ამბობს, ალბათ, მესამე ქართველი ხელოვანია (გუდიაშვილისა და კაკაბაძის შემდეგ), რომლის ნამუშავრებსაც დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ მხატვრის სიცოცხლეშივე დაუთმო დარბაზები. თბილისისა და ნიუ-იორკის გარდა ლადო ადრე რუსეთში, აზერბაიჯანში, ბუდაპეშტში, ლაიპციგში, პრაღის ბიენალეზეც გამოიფინა. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ ეს თბილისური გამოფენა იმიტომაც გახდა შესაძლებელი, რომ იგი აშშ-ში ცხოვრობს და გამოფენა, რომელიც „არტისტერიუმის" ფარგლებში მიმდინარეობდა, აშშ-ის საელჩოს ხელშეწყობით გაიმართა.**

**წყნეთში ცხოვრების დროს, 11 წლის განმავლობაში – 1993 წლიდან ვიდრე 2004-მდე – ლადო ფოჩხუა საბჭოთა ფოტოაპარატებითა და თბილისში მშრალ ხიდზე ნაყიდი უხარისხო, იაფფასიანი ფირებით იღებდა იმ ადამიანთა ყოველდღიურობას, რომელთა გვერდით ცხოვრობდა, იღებდა დევნილთა ყოფას, რომელიც მოგვიანებით შავთეთრი ფოტოების მელანქოლიურ ექსპოზიციად, სლაიდ შოუდ გადაიქცა. ექსპოზიციის შემადგენელი არ იყო მხოლოდ თავად ფოტოები, არამედ ტექსტები, ინსტალაციები. ამბობს, რომ ნამუშევრის არანჟირება აშშ-ში ისწავლა, ეს ფოტოები კი მისი ცხოვრების ნაწილია და თვლის, რომ ხელოვნება ცხოვრებისეული მოვლენებისგან უნდა იბადებოდეს და არ უნდა იყოს სალონური. „ერთია, როცა ხატავ სენტიმენტს, მაგალითად, მოხუც ქალს, რომელიც ცეცხლთან ზის და აფხაზეთში დაღუპულ შვილს იხსენებს. ამგვარი ნამუშევარი სალონურია და მეორეა, როცა დევნილობის ყოველდღიურ ყოფას იხსენებ, როგორც ქრონიკას. ახლა ჩემი ცხოვრების ამ ეტაპს მშვიდად ვიხსენებ. ადრე ვწუხდი, რომ სამუშაო ფოტომასალა უხარისხო მქონდა, ახლა კი მიხარია კიდეც, რომ სწორედ ასეთ მასალას ვიყენებდი".**

**კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექციის შემდეგ ჩვენი საუბარი ქართულ სალონურ/არასალონურ ხელოვნებასა და ქართულ რეალურ და ფსევდო სოცრეალიზმს შეეხო, ასევე მსოფლიო ხელოვნებაში ქართული მხატვრობის ადგილს. ლექციას, რომელიც, როგორც ლადო ამბობს, „თავისთვის შეადგინა, რადგანაც თუ შენ სხვები არ დააინტერესე, თავად შენით არავინ დაინტერესდება", ძალიან საინტერესო ფაქტობრივი მასალაც ახლდა: ქართველი მხატვრების ნამუშევრების ალბომებიდან რეპროდუქციების ჩვენებიდან დაწყებული ლადოს მიერ თბილისის ქუჩებში „ბენქსის სტილში" ერთ-ერთი სახლის კედელზე დახატული სტალინის ფოტოთი დამთავრებული. სხვათა შორის, ამ ლექციის შემდეგ და მანამდეც, ლადო ფოჩხუას ლექციებითა და ნახატებით მისი ვებ საიტის (http://ladopochkhua.tumblr.com) საშუალებით საზღვარგარეთ მცხოვრები არაერთი მხატვარი თუ სამხატვრო კოლეჯის სტუდენტი დაინტერესდა. ჩვენი საუბარი კი, ბუნებრივია, სოცრეალიზმის ქართული თავისებურებების განხილვითა და ლადო გუდიაშვილით დავიწყეთ.**

იხ. 9 გვ.

◉ ალიან-ჩალიანი

### გაფიცულ კაზრეთელებსა და დამსაქმებელს შორის დავაში მედიატორები ჩაერთვნენ

**დაბა კაზრეთის საბადოს გაფიცულ მუშებსა და დამსაქმებელს შორის მედიატორად ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი დაინიშნა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს"„ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განუცხადეს, მინისტრმა დავით სერგეენკომ ირაკლი ყანდაშვილი დამსაქმებელთა ასოციაციისა და დასაქმებულთა წარმომადგენლებთან, პროფკავშირებთან შეთანხმების საფუძველზე დანიშნა.**

**უწყების ცნობით, ირაკლი ყანდაშვილი მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესს წარუძღვება, რაშიც ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ ჩაერევიან. ახლად დანიშნულმა მედიატორმა გუშინვე შრომის მსოფლიო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენელ როჯერ ლეკურთან ერთად კაზრეთში პირველი შეხვედრა გამართა. კაზრეთში იმყოფებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პაატა ჟორჟოლიანი და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ბექა ნაცვლიშვილი.**

**როგორც სამინისტროში განმარტავენ, ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად, მედიაციის პროცესში ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ.**

**ამასთან, როგორც უწყებაში აცხადებენ, შრომითი დავების გადასაჭრელად პროცესებში მედიატორის ჩართვა ევროკავშირის ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია, საქართველოში კი მსგავსი ფაქტი პირველად ხდება. დაბა კაზრეთის საბადოს მუშები 14 თებერვალს გაიფიცნენ. მათ შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და გათავისუფლებული მუშების სამსახურში აღდგენის მოთხოვნით 7 მარტს თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციასთან საპროტესტო აქცია გამართეს.**

„მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა“

# სამხედრო ძალა და პოლიტიკური ნება

**გასულ** კვირაში საქართველოს სამხედრო უწყება მშვიდად გამოეხმაურა ოკუპირებული ცხინვალის მიმდებარე ქართულ სივრცეში რუსეთის შვეულმფრენის მორიგ გამოჩენას. თბილისი ფიქრობს, რომ შექმნილ ვითარებაში ასეთ დარღვევებზე დიპლომატიური რეაქცია უფრო შედეგიანია, ვიდრე საჰაერო თავდაცვის ამოქმედება, ოპონენტები კი საქართველოს ხელისუფლების ასეთ აუღელვებლობას მის უპრინციპობასა და რუსეთის მიმართ ზედმეტ სიფრთხილეს მიაწერენ.

### საფრთხე, რომელიც პოლიტკორექტულობაში არ იმალება

**რა პოლიტკორექტულიც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის არამეგობრული ქმედებების პასუხად მიღებული მიმართვები, არსებობს ოფიციალური დოკუმენტები, სადაც საგნებს თავისი სახელები ჰქვია. ასეთია, კერძოდ, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ახალი ხელისუფლების მიერ შარშან აპრილში დამტკიცებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები საქართველოს წინაშე მდგარ მთავარ საფრთხედ არის მიჩნეული. კონცეფციაში მეორე ადგილზეა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი.**

მაგრამ ერთია ის, თუ როგორაა ასახული სახელმძღვანელო დოკუმენტში უსაფრთხოების გარემო და მეორეა პოლიტიკური კონიუნქტურა, რაც სასხლეტზე ხელის გამოკვრის საშუალებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იძლევა. ამ შემთხვევაში ყოველგვარი ირონიის გარეშე შეიძლება გავიხსენოთ ის ეგზოტიკური სადღეგრძელო, რომელსაც ცნობილი საბჭოთა კომედიური ფილმის —„კავკასიელი ტყვე ქალის“ — ერთ-ერთი გმირი წარმოთქვამს სურვილებისა და შესაძლებლობების თაობაზე.

პოლიტიკაში კი ყველაფერი უფრო მკაცრად არის განსაზღვრული. მაშინაც კი, როცა გაქვს შესაძლებლობაც და სურვილიც, ვთქვათ, ადეკვატური სამხედრო ძალით აღკვეთო შენს ტერიტორიაზე შემოფრენილი მოწინააღმდეგის ავიაციის პარპაში, ამის საშუალებას ობიექტური გარემოება არ იძლევა. ასეთ ვითარებასთან, ასეთ კონიუნქტურასთან აქვს საქმე დღეს საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც იძულებულია, გვერდზე გადადოს სურვილიც და შესაძლებლობაც და მოთმინებით მოეკიდოს რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს, რაც, როგორც ირაკლი ალასანიამ უთხრა გასულ კვირაში ჟურნალისტებს, თურმე ათასს აღწევს.

**„დაახლოებით, ათასამდე საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს ჰქონდა ადგილი. საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ ვითარებას და ყველა მოქმედებისთვის მზადყოფნის შესაბამისი სცენარია გამოცხადებული. მინდა, გითხრათ, რომ არანაირი საფრთხე ამ გადაფრენას ჩვენი უსაფრთხოებისთვის იმ მოცემულ მომენტში დამატებით არ შეუქმნია. ჩვენ ვართ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, იმიტომ რომ ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენს გეგმებში ამით არაფერი არ შეცვლილა“,** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

### ერთადერთი სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილება

**საომარი მოქმედებების შედეგად, არაოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი და 14 პოლიციელი. დაკარგულად ითვლება 8 ჯარისკაცი...**

**მაგრამ იბადება შეკითხვა, რისთვისღა უნდა ამყოფო ჯარი „მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში“, დახარჯო ფული და ადამიანური რესურსი, თუკი ამ ძალას საჭიროების შემთხვევაში ვერ გამოიყენებ? იქნებ დადგა დრო, ათასმეერთე შემთხვევაში მაინც აფრინდეს რაკეტა მოწინააღმდეგის სამიზნისკენ?**

სამწუხაროდ, სურვილისა და შესაძლებლობის შედეგიანი დამთხვევა პოლიტიკაში არ არის ისეთი მარტივი, როგორც გარედან ჩანს, გარდამავალ პროცესში მყოფი ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისათვის კი ეს შეიძლება კატასტროფულიც იყოს. საქართველომ 2008 წლის აგვისტოში ერთხელ უკვე სცადა ძალის გამოყენება რუსეთის მხრიდან მცოცავი აგრესიის შესაჩერებლად, თითქოს საერთაშორისო სამართალიც საქართველოს მხარეზე იყო, ქვეყანას სამხედრო შესაძლებლობაც ჰქონდა, ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილსა და ხელისუფლებას — სურვილი კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, მაგრამ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევის შემდეგ საქართველომ მძიმე დანაკარგი განიცადა და საბრძოლო ოპერაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

**„საომარი მოქმედებების შედეგად, არაოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი და 14 პოლიციელი. დაკარგულად ითვლება 8 ჯარისკაცი. სახლები დატოვა თითქმის 130 ათასამდე ადამიანმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 ათასამდე“.**

ამ მძიმე დანაკარგის გარდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ დროებით დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ანუ ბრძოლის საწარმოებლად აუცილებელი ოპერატიული სივრცე საქართველოს ხელისუფლებისათვის კიდევ უფრო შეიკუმშა. რუსეთის სამხედრო ბაზა, შესაბამისი საარტილერიო, საავიაციო და სატანკო მხარდაჭერით, თბილისიდან 35 კილომეტრის მანძილზე, ახალგორშია განლაგებული. საქართველოს მხრიდან რუსეთის სამხედრო ძალების პროვოკაციის აღკვეთას კი, შესაძლოა, კონფლიქტის ესკალაცია და რუსეთის მხრიდან ახალი სადამსჯელო სამხედრო ოპერაციები მოჰყვეს. შექმნილ ვითარებაში — როცა იცი, რომ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება როგორც უდანაშაულო ადამიანების, ისე საქართველოს ევროპული მომავალი — საქართველოს ხელისუფლებას, მოთმინებისა და წარსული შეცდომების გათვალისწინების გარდა, სხვა გზა არ რჩება.

**„ამ კომისიის მიზანი არის სამხედრო ასპექტების შესწავლა: როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილებები ტაქტიკურ, ოპერატიულ და, მათ შორის, სტრატეგიულ დონეზე; რა ვერ შეძლეს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა და რა იყო ამის მიზეზი“,** — თქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გასული წლის ბოლოს საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე, რომელზეც გამოცხადდა, რომ შუალედური შედეგები სწორედ წელს, გაზაფხულზე, გახდება ცნობილი.

**ძნელია, შეიტანო ეჭვი კომისიის წევრების პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაში, მაგრამ როგორიც უნდა იყოს მათ მიერ გამოტანილი დასკვნა, იგი არაფერს შეცვლის. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შექმნილ ვითარებაში „სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე“ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება საქართველოსთვის საკუთარ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისაგან თავის შეკავებაა.**

კობა ლიკლიკაძე



## დედამიწის ზურგზე



### იაცენიუკის ვაშინგტონში ვიზიტის წინ პეკინმა აშშ-ს მოუწოდა იყოს უფრო თავშეკავებული უკრაინის საკითხში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა ბარაკ ობამასთან სატელეფონო საუბრის დროს გამოთქვა აზრი კრიზისის დიპლომატიური და პოლიტიკური გადაწყვეტისთვის. ამ დროს პეკინი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩნდა თავმოყვარეობაშელახულად ობამას ტიბეტის დალაი-ლამასთან შეხვედრის გამო, გამოდის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

### ევროკავშირის სანქციების მეორე პაკეტი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ უფრო სწრაფად ამოქმედდება, ვიდრე ვარაუდობენ: პუტინს მისცეს რამდენიმე დღე „ყირიმთან დაკავშირებული პოზიციის შესაცვლელად“



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ანგელა მერკელთან მორიგი საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც მხარეებმა ვერ მოძებნეს შეხების ვერანაირი წერტილი, გამოირკვა, რომ სანქციებს უფრო ადრე აამოქმედებენ, ვიდრე ელოდებოდნენ. ევროკავშირი აცნობიერებს, რომ მოსკოვთან დაკავშირებული უკიდურესად ეკონომიკური საჯარიმო სანქციები „ზიანს მიაყენებს ორივე მხარეს“.

### იემენის სანაპიროზე გადაბრუნდა ხომალდი მიგრანტებით: დაიღუპა 42 კაცი



დაღუპულები, სავარაუდოდ, ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნის მოქალაქეები არიან. იემენის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ჩაძირული ხომალდის დაახლოებით 30 კაცი სანაპირო დაცვამ გადაარჩინა.

### ოკეანეში აღმოჩენილი ნამსხვრევები არ არის დაკავშირებული ვიეტნამის სანაპიროსთან დაღუპულ „ბოინგთან“, რომელშიც 227 მგზავრი იყო, მაგრამ აღმოაჩინეს ყვითელი ტივი

ავიალაინერ „ბოინგ-777-200“-ის ძებნამ, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ზღვის აკვატორიუმში დაიკარგა, ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო. ინფორმაცია დაცემის კვალის აღმოჩენის შესახებ კვლავ არ დადასტურდა. ექსპერტები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ ლაინერი გაიტაცეს.

### ხარკოვში კვლავ სროლებია: უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს კაფეს - ორი კაცი დაიღუპა

ქალაქის ცენტრში უცნობმა პირმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნა კაფე-მაღაზია „ნორმას“. დაღუპულთა შორის არის ევგენი სლონევსკი, ქალაქში ცნობილი პიროვნება თავისი საფინანსო ბიზნესით. კიდევ ერთი კაცი დაიჭრა.

(მეშვიდე გვერდიდან)

— საქმეც ის არის, რომ საქართველოში ნამდვილი სოცრეალიზმი ვერ შეიქმნა.— ამბობს ლადო. — რუსეთში ბევრ მუზეუმში იყო და არის სოცრეალიზმი, მათ შორის, ტრეტიაკოვის გალერეაში, საქართველოში კი მხატვრობაში ძალიან მცირედი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, სოცრეალიზმი არც არსებობს.

**— გუდიაშვილი სოცრეალისტს შეიძლება მივაკუთვნოთ?**

— გუდიაშვილი იყო კანონიკური ხელოვანი, მას 1970-80-იან წლებში ფილმებში იღებდნენ. იგი არ იყო სოცრეალისტი, თუმცაღა სოცრეალიზმის ქვეშ მუშაობდა. აი, რუსეთს კი თუ შეიძლება ასე ითქვას, 100-პროცენტიანი სოცრეალისტი მხატვრები ჰყავდა და ზოგიერთი მათგანი დიდი მხატვარიც იყო. მაგალითად, გერასიმოვი და გრაბარი. ჩვენ კი ამგვარი მასშტაბის სოცრეალისტები ნამდვილად არ გვყავდა.

**— რატომ? განა ამის ყველა პირობა არ გვქონდა?**

— როგორც ჩანს, ქართველებს ნაცისტური ხელოვნება არ გვინდოდა. იგი „ვერ გავქაჩეთ“.

**— თუმცაღა, მაგალითად, პარიზელმა კაკაბაძემ სოცრეალიზმს ვერ აუარა გვერდი.**

— კაკაბაძე ავანგარდისტი იყო და აბსტრაქციონისტი, მაგრამ, როცა პარიზიდან საქართველოში ჩავიდა, სოცრეალისტური ნახატების ხატვა დაიწყო. მაგალითად, „ფოთის პორტი“ და ა.შ. მაგრამ იგი კარგი მხატვარი იყო და სწორედ ამის გამო „ვერ გაქაჩა“ სოცრეალიზმის ის სრულიად საზიზღრული „არტი“, როგორიც კომუნისტებს უნდოდათ. სოცრელიაზმი სტალინისა და ლენინის იმიჯების პროპაგანდას გულისხმობდა, მაგრამ კაკაბაძე ინტელექტუალიც იყო და ამიტომაც სოცრეალიზმი მას სრულად „ვერ დაეუფლა“. მაგალითად, თამარა აბაკელია, დინარა ნოდია სოცრეალისტები იყვნენ, თუმცაღა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრების უმეტესობა მაინც უფრო ქართველი სენტიმენტალისტები არიან, რომლებიც ცდილობდნენ „სოცრეალისტი ლიდერი“ ამ სენტიმენტალურ გარემოში ეჩვენებინათ. ზოგადად ქართული სოცრეალიზმი ძალიან უცნაური ფენომენი იყო. ვფიქრობ, საქართველოში ქართული სოცრეალიაზმის გამოფენა აუცილებლად უნდა გაკეთდეს. არქივებიდან ჩვენი წარსული უნდა ამოვიღოთ და გამოვფინოთ.

**— ლექციაში თქვენ ქართული მხატვრობის ბოჰემაც და მარგინალებიც ახსენეთ.**

— შევეცადე წინა საუკუნის ქართველი მხატვრები ქრონოლოგიურად დამელაგებინა. გუდიაშვილი, პარიზის პერიოდის მხატვრები, მერე პარიზიდან დაბრუბულების ნამუშევრები, ბოჰემური ავთო ვარაზი. თუმცაღა მე უფრო მარგინალები მაინტერესებს. ავთო ვარაზი კი მიღებული მხატვარი იყო, იგი მუზეუმში მუშაობდა. და, ალბათ, მუზეუმის პარტკრებებზეც დადიოდა, თუმცაღა სადღაც სარდაფში თავის ცნობილ კოლაჟებსაც აკეთებდა. კაკაბაძეც აშკარად ცდილობდა, რომ მაშინდელ მეინსტიმში ჩამჯდარიყო. ერთ-ერთ ნახატზე უკვე ნამუშევრის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხანში ჯერ სტალინი, მერე — ბერია დაიტანა. მერე ბერიაც წასაშლელი გაუხდა. ტოტალიტარული სამყაროები ხომ სწორედ ამგვარი სქემითაა მოწყობილი. დღეს ერთია მტერი, ხვალ — სხვა. სტალინი მიახატა, სტალინი წასაშლელი გაუხდა; ბერია მიახატა, ბერიაც წასაშლელი გაუხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზუალურად კაკაბაძე უფრო გამბედავი იყო, ვიდრე სხვები. მაგრამ ის იყო ნამდვილი მხატვარი და პრობლემას, არსებულ კონფლიქტს ვერ ხედავდა. იგი ფიქრობდა: მე კარგად ვაკეთებ ჩემს საქმეს და ამიტომ რატომ უნდა არსებობდეს აღქმის პრობლემა? არადა პრობლემა არსებობს. რადგანაც არსებობს ორი რამ: მხატვრის მიერ საკუთარი ნახატის აღქმა და სხვა ადამიანების მიერ ნახატის აღქმა. მაგალითად, თუ კაკაბაძე დახატავდა ლენინს ცოცხალი პეიზაჟის ფონზე, სხვები ამ დროს ფიქრობდნენ, რომ სწორედ პეიზაჟია აბსტრაქცია. დღეს ამგვარი კონფლიქტი ლედი გაგას თაობისთვის აბსოლუტურად უცხოა. ჩემი თაობის ადამიანებს კი ეს კონფლიქტი აინტერესებთ და მე სწორედ ამ პრობლემის აქტუალიზება მინდა.

**— თუმცა, საქართველოს ჰყავდა, ასე ვთქვათ, არც ისე კარგი ოსტატები, მაგრამ — კარგი სოცრეალისტები.**

— ჰყავდა. მაგალითად, ასეთი იყო ვალერიან სიდამონ-ერისთავი, რომლის სულისკვეთება, სოცრეალიზმის ჩარჩოებში სრულად ჯდებოდა. თუმცაღა იგი მთლად სოცრეალისტიც არ იყო, მაგრამ ისე ხატავდა, რომ ერთი რამ ნამდვილად ჩანდა: იგი გულით ბოლშევიკი იყო. სხვათა შორის, მხატვრებს შორის ბევრი იყო ბოლშევიკი და მემარცხენე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოცრეალიზმი კარგ ოსტატობასაც მოითხოვდა. სიდამონ ერისთავი სიკვდილამდე სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და, ფაქტობრივად, უსახელო მხატვრად გარდაიცვალა. ზოგადად კი ქართული ხელოვნების პრობლემაც სწორედ ესაა, მას არა ჰყავს თანამიმდევრული მხატვარი, თუ არ ჩავთვლით, მაგალითად კარლო კაჭარავას, რომელსაც სტაბილურად თავისი სტილი ჰქონდა, ერთ სტილს მიჰყვებოდა. სამწუხაროდ, ცოტაა ამგვარი ქართველი მხატვარი. ბევრი სტილიდან სტილში დახტის. მე არ ვამბობ, რომ ეს ცუდია, მაგრამ დასავლეთში ასეთი რამ არაა მიღებული. აი, მაგალითად კაკაბაძეც ასეთი იყო. იგი აბსტრაქციონისტიც, რეალისტიც, თეატრის მხატვარიც იყო.

**— იყვნენ, ალბათ, ისეთებიც, რომლებმაც საბჭოურ სტილს უღალატეს.**

— რასაკვირველია. აი, მაგალითად, ოთარ ჩხარტიშვილი და მისი „ჯინსები“. იგი არ არის ცუდი მხატვარი. მის ალბომში ნამუშევრების უმეტესობა ძალიან საინტერესოა და ძალიან კარგია. კარგში კი ვგულისხმობ ხაზს, ზოგიერთ ფერწერულ ნამუშევარს, თუმცა მისი კოლაჟებისადმი ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი. აი, მისი „ჯინსები“ კი მართლაც მაგარია. და, აი, რატომ: დასავლეთისთვის გაუგებარი იყო, რატომ გახდა ჯინსები ფუფუნების საგანი და ფეტიში. ჯინსები, ვთქვათ, ამერიკაში შეიძლება გეყიდა 30 დოლარად, ხოლო აშშ-ში 14-15 დოლარი ადამიანმა საათში შეიძლება გამოიმუშავოს. ვთქვათ, დეტროიტელ მუშას ორი საათის მუშაობით ჯინსის შარვალი შეეძლო შეეძინა. სსრკ-ში, კი ჯინსის შარვლები მთავარი ფეტიში იყო; ადამიანები დარბოდნენ სპეკულიანტებთან, რომლებიც შარვალს ძალიან ძვირად აფასებდნენ და იმისთვის, რომ საბჭოელს ეს ფეტიში ეყიდა, მას ლამის 5 თვის ხელფასი უნდა დაეგროვებინა. სსრკ დახურული ქვეყანა იყო. იგივე მოხდება მაგალითად ჩრდილოეთ კორეაშიც. იქ რომ რაიმე დასავლური პროდუქტი შეიტანონ, უმალვე დაიწყება ამის ფეტიშიზაცია. უბრალოდ, ჩრდილოეთ კორეის მესვეურები საბჭოელებზე უფრო „ჭკვიანები“ აღმოჩდნენ. არაფერს უშვებენ დასავლეთიდან. სსრკ-ში საზღვრების ჩაკეტილობის მიუხედავად გარკვეული პროდუქტები რაღაცნაირად მაინც შემოდიოდა.

**— თქვენ ახსენეთ რუსულ მხატრობაში ე.წ.. მკაცრი სტილი...**

— ჰო, ეს სტილი, რომელიც საქართველოში უგემოვნო სენტიმენტალისტებს ზურაბ ნიჟარაძესა და ედმუნდ კალანდაძეს ჰქონდათ. მაგალითად, ელენე ახვლედიანის დიდი ნახატები სალონურია. სამწუხაროდ, ელენე ახვლედიანი პარიზიდან სსრკ—ში ჩამოსვლის მერე ვერ განვითარდა. არადა სსრკ—ში რა განვითარებაზე შეიძლებოდა საუბარი? რასაკვირველია, პარიზიდან დაბრუნებულ ლესბოსელს კაგებე უთვალთვალებდა. სექსი მაშინ კომპრომატი იყო, ადამიანებს სექსზე იჭერდნენ. ელენე ახვლედიანის მოღვაწეობის ხანა კი არა, მე მახსოვს 1970— იანებში, როცა პატარა ვიყავი, კაგებეს შენობასთან როცა უნდა ჩამევლო, ქუჩის მეორე მხარეს გადავდიოდი. წითელი რეპრესიების მერე კი ამოქმედდა ხელოვანების მოსყიდვის კაგებეშნიკური სხვა სქემები, რომელიც დღემდე კარგად მუშაობს. შეიქმნა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის შეუფერებელი ფონი.



**ალმოჩნდა, რომ დიდი სამყაროს ნაწილად ყოფნა მტკივნეული და შიშისმომგვრელია**



**— ლექციიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ქართველი მხატვრებიდან თქვენ ყველაზე მეტად პეტრე ოცხელი მოგწონთ.**

— ოცხელი მართლაც მომწონს. ის ძალიან ევროპელია, ამავდროულად ქართველიცაა და ფაქიზი მხატვარიც. მისი ნახატები ძალიან კარგი ოსტატობითაა შესრულებული, თითოეული ნახატი თავის თავზე საუბრობს. თან აქვს შესამჩნევი სტილი — ევროპული, თანამდეროვე. 1920-იან წლებში მიღებული სტილი იყო არტდეკო, რომელიც იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვედ ითვლებოდა: მოზაიკა, არქიტექტურა. ეკლესიებიც კი არტდეკოს სტილში იგებოდა. ოცხელი თავისი არტდეკოთი თანამედროვე კი არა, თავის დროს ასწრებდა კიდეც. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ლადო გრიგოლია, როგორც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი მხატავრი. იგი მინიმალისტია და არასალონური, მას მიმდევრები, მოსწავლეები ჰყავდა. ის წიგნის ცნობილი დიზაინერი, მოქანდაკე, გრაფიკოსი იყო. გრიგოლიას ხელოვნება იმის მაგალითია, თუ როგორ ცვლის ერთი ადამიანის ხედვა სხვა ადამიანისას, როგორ ცვლის ესთეტიკას — ვგულისხმობ წიგნის გაფორმების ესთეტიკას. მე მომწონს გრიგოლიას მხატვრული ხედვა, იგი, მინიმალისტური მხატვარია და არაა სალონური. ლადო გრიგოლია გენიალური მხატვარია, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის. ანდა თუნდაც სერგო ქობულაძე. მე ვთვლი, რომ იგი ასევე გენიალური მხატვარი იყო. მან „ვეფხისტყაოსანი“ დაასურათა და თან ეს სერია იყო XII საუკუნეში მოთხრობილი აღმოსავლური ამბის XVI საუკუნის რენესანსული მხატვრის მიერ დახატული/გათამაშებული. ქობულაძე სხვადასხვა პრემიების ლაურეატი იყო, ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ ლენინს არ ხატავდა. რჩებოდა იტალიელ მანერისტ, რენესანსის პერიოდის მხატვრად.

**— იმდროიდელი მეინსტრიმიდან ამოვარდნილი იყო?**

— შეიძლება ითქვას, რომ ქობულაძემ თავისი ნიშა მოძებნა. რუსული ეპოსის ძეგლი „სლოვო ო პოლკუ იგორევე“ გააფორმა. ეს ის ტექსტი იყო, რომელსაც რუსულ სკოლებში ოფიციალურად არ ასწავლიდნენ. იყო ძალიან საინტერესო მხატვარი.მის ნახატებში არაფერი იყო დისიდენტური, მაგრამ იმდროინდელი მხატვრებიდან მაინც ძალიან გამოირჩეოდა.

**— მხატვრობაში ეზოპეს ენის გამოყენება შესაძლებელია?**

— არა მგონია. ეზოპეს ენა კარიკატურისთვისაა კარგი. მხატვრობა, მუსიკა და ფოტოგრაფია მძიმეწონიანი ხელოვნებაა. კინემატოგრაფსა და ლიტერატურაში კი ეს შესაძლებელია. მხატვრობაში კი იუმორისტულ ენას ვერ შენიღბავ. უგემოვნობაა, მაგალითად, იუმორი მუსიკაში. სენ სანსის მიერ ცხოველების თემის გადათამაშება ძალიან ცუდია.

**— თეატრში?**

— არ მიყვარს ქართული თეატრი, რადგანაც იგი საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე თეატრი. ქართული თეატრი ძალიან თეატრალურია, მსახიობები ძალიან ხელოვნურები, არაბუნებრივები არიან. ამ საკითხის სხვაგვარად განხილვაცაა შესაძლებელი. რა აირჩიეს ქართველებმა? აღმოჩნდა, რომ ქართველებისთვის უფრო მისაღებია ნახევრად დახურულ ქვეყანაში ცხოვრება და დასავლეთის არეკლილ სინათლედ დანახვა, ვიდრე თვალის პირდაპირ გასწორება. და თუ ქვეყანა მართლაც ღია იქნება, გაიხსნება და მართლაც გახდება დასავლური სივრცის ნაწილი (ეს ვიზების გაცემასაც ეხება), უფრო მეტი ადამიანი ისწავლის, ივლის დასავლეთში, დასავლეთზე არსებული მცდარი წარმოდგენებიც შეიცვლება. მძიმე და რთულია დასავლეთში კარიერის გაკეთება, მაგრამ როცა შენ ნახევრად დახურულ ქვეყანაში ცხოვრობ და ვერ გადიხარ საზღვარს იქით, დასავლეთზე მაშინვე ლეგენდები და მითები იქმნება. გვახსოვს, რომ რუსთაველის თეატრი ინგლისში წავიდა გასტროლებზე და წარმატებით გამოვიდა. გასაგებია, რომ კარგი კრიტიკა დაიმსახურა, მაგრამ როდემდე უნდა იამაყო წარსულით, 1-2 სპექტაკლით და თან გაიძახოდე იმას, რომ რუსთაველის თეატრს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება? არადა არც არავინ იცნობს მას.

**— რატომ? რუსეთში იგი პოპულარულია.**

— არა, რუსებთანაც — არა.

პრობლემა იმაშია, რომ ადამიანებს ეშინიათ შორს გახედვის, რადგანაც საკუთარ სახლში თუ უკვე არსებულ ჭაობში ცხოვრება უფრო მოსახერხებელია. სოცრეალიზმი იყო დახურული ხელოვნება. არადა ამ დროს სამყაროში ხომ სულ სხვაგვარი ხელოვნება ვითარდებოდა. წინა საუკუნის 50-60-იანებში წარმოიშვა პოპარტი, მინიმალიზმი, სხვადასხვა სტილები და კონფიგურაციები, სხვადასხვა გაერთიანებები. წარმოიშვა კონცეპტუალური ხელოვნება და ამის შესახებ სსრკ-ში არაფერი იცოდნენ. საზღვრები დახურული იყო. ადამიანები კი ხატავდნენ და ხატავდენენ რეალისტურად. იმას, რაც კარგია და ოსტატურია, პირადად მე მხარს ვუჭერ. მაგრამ მხატვრები იმასაც ცდილობდნენ, რომ ადამიანებისთვის გასაგებ ვიზუალურ ენაზე შეექოთ კომუნისტური პარტია და პარტიული საქმეები. ამიტომაც იყო ეს დახურული სისტემა, ამიტომაც არის ქართული ხელოვნება ღრმა კრიზისში. ის, რასაც ხელოვნებას უძახიან თბილისში, ძალიან პატარა გამონაკლისით, არის სალონური. მაგალითად, ირაკლი ფარჯიანი. მე არ ვსაუბრობ თავად ოსტატობაზე, არამედ სტილზე. ასეთ სალონურ ნამუშევარს ნიუ-იორკში ვერ გამოდებ და სწორედ ამ სალონურობა/არასალონურობის გაუაზრებლობაა პრობლემა. როგორც კი ჩნდება ადამიანი, რომელსაც თავისუფლების ქარის შემოტანა შეუძლია და რომელსაც უნდა, რომ ქართული ნარატივი მსოფლიო ნარატივის ნაწილად გახადოს, მას მაშინვე კლავენ. გავიხსენოთ თუნდაც, რა ობსტრუქცია მოუწყვეს აკადემიის მაშინდელ რექტორს, ამერიკაში მუშაობის გამოცდილების მქონე ირინა პოპიაშვილს, რომელსაც ცვლილებების შეტანა უნდოდა. იგი მალევე გააძევეს და მის მაგივრად დანიშნეს დარბაისელი თბილისელი ქალი. ესაა სწორედ პრობლემა. საქართველოში ხელოვნებაშიც კი არ უნდათ, რომ თანამედროვე სამყაროს ნაწილი გახდნენ.

**— და როგორია იყო ამ სამყაროს ნაწილი?**

— აღმოჩნდა, რომ დიდი სამყაროს ნაწილად ყოფნა მტკივნეული და შიშისმომგვრელია. მტკივნეულია. რადგანაც თურმე არსებობს მინერალური წყალი, რომელიც ჩვენს მინერალურს სჯობს; არის პორტუგალიური ან ფრანგული ღვინო, რომელიც ქართულ ღვინოს სჯობს; ხაჭაპური შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს და სუში ამჯობინოს; არსებობს ირაკლი ფარჯიანზე უკეთესი, ლუსიან ფროიდი და ფრენსის ბეკონი. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ამ დიდ სამყაროში ყოფნის გვეშინია. ფეხბურთს ვეღარ ვთამაშობთ; ომს ვერ ვიგებთ, ხატვაც დიდად არ გამოგვდის, კარგი მწერლის წიგნს ისე ვერ გადავთარგმნით-/გავაპიარებთ, რომ მკითხველი მივიზიდოთ; ნობელიანტი არა გვაყვს. ნობელი კი არა, შნობელსაც (არსებობს ასეთი პრიზი — ი.მ.) არავინ გვაძლევს, „პროვინციული პროდუქტი“ არავის უნდა. თან საკუთარ ქვეყანაში საშინელებები დავატრიალეთ და აღმოჩნდა, რომ არავისზე, ასე ვთქვათ, უკეთესები კი არა, უარესებიც აღმოვჩნდით... და ამიტომ ისევ უკან მოსკოვში გვინდა დავბრუნდეთ, კრემლში და სადაც ამბობენ: „ოი, სუხიშვილი ხარაშო“, „ოი, ხაჩაპური ხარაშო“... რასაკვირველია, ინდივიდუალების დონეზე კარგი მხატვრები არიან, ახალგაზრდები, მაგრამ ზოგად სურათს ეს არ ცვლის. ფაქტია, რომ ჩვენ გვეშინია ღია და დიდ სამყაროში გასვლის.

**— და ამ შიშის გამოა ეს სალონურობაც?**

— სალონური მხატვრობა არის თბილი, ლამაზი, კარგად გაკეთებული და გაყიდვადი ხელოვნება. ანუ სალონურ ხელოვნებაში არაა საუბარი არსებულ რეალობაზე. სალონური ხელოვნება არის ის, რაც სამყაროს ალამაზებს. მაგალითად, გვიანი გუდიაშვილი სალონურია, თუმცაღა კიდევაც რომ სალონური იყოს, გუდიაშვილს აქვს თავისი ნერვი, იგი რაღაცას ყვება. აქვს სოციალური თემა, მაგალითად, კინტოები, მეძავები, ქრისტინე. მაგრამ მაინც: სალონური ხელოვნება სიცოცხლიდანაა ამოვარდნილი, არადა თანამედროვე ხელოვნება სულ სხვანაირია დღეს. კონსერვატიულ ადამიანებს და ამ შემთხვევაში მე ხელოვანებს ვგულისხმობ, აშინებთ თავიანთ პოზიციებთან განშორება და ესაა სწორედ განვითარების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**გადახდა უნდა ვალსაო**

# გმადლობთ, მაგრამ...




**საკალათბურთო სუპერლიგის მორიგი ტურის მშვენება „სოხუმისა“ და „ბათუმის“ ზღვისპირული დერბი უნდა გამხდარიყო, მაგრამ...**

მატჩისწინა მოთელვა ჩვეულებრივად წარიმართა, შეხვედრის მონაწილეებმა კუთვნილი ადგილები დაიკავეს, მათ შორის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა აჭარელთა თავკაცმა მიხეილ კობეშავიძემ და საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეკომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა. თითქოს საინტერესო ბრძოლის დაწყებას ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დიქტორმა გუნდების შემადგენლობები გამოაცხადა, სიტყვა დევნილთა კლუბის გამთამაშებელს რატი ბააკაშვილს გადაეცა, რომელმაც გვაუწყა, რომ პროტესტის ნიშნად ის და მისი პარტნიორები თამაშზე უარს აცხადებდნენ.

ჩვენ აქამდეც ვწერდით, რომ ვაჟა კვარაცხელიას შეგირდები 6 თვის განმავლობაში უხელფასოდ იცავდნენ აფხაზეთის ღირსებას. მეტიც, სწორედ მიმდინარე სეზონში მოიპოვეს მათ არნახული წარმატებები – ჯერ დუდუ დადიანის მემორიალი მოიგეს, შემდეგ ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ფინალში გავიდნენ და 29 მარტს ეროვნული თასის გათამაშების სატიტულო დუელში უნდა შეებან „ქუთაისს“.

დაგვეთანხმებით, მართლაც სპორტული გმირობაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ჰოდა მაშინ, როცა მშიერ-მწყურვალ ბიჭებს ვარჯიშებზე წასასვლელი ხურდები ამოეწურათ, ლოდინსაც წერტილი დაესვა.

თუმცა, იბადება კითხვა: რამდენად შესაფერისი მომენტი შეირჩა კუთვნილის მოსათხოვად?

უპირველესად, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ანალოგიური სიტუაცია აქამდეც რამდენჯერმე შეიქმნა, თუმცა კლუბის მფლობელმა მინდია გულუამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაფარა ვალები. სწორედ ამას გაუსვა ხაზი საგანგებო პრესკონფერენციაზე სოხუმელთა პრესსამსახურის ხელმძღვანელმა თენგიზ პაჭკორიამ: მადლობა ბატონ მინდიას 4 წლის მანძილზე გაწეული ამაგისთვის და საყვედური ამჟამინდელი გაჭიანურებული დავალიანებისთვისო.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს: პირველი ჩაშლილი თამაშისთვის ამბოხებულებს წაგება ჩაეთვალათ – 0:20 და 3500 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო თუ არც 15 მარტს გამოვლენ სარბიელზე „მაკაბის“ წინააღმდეგ, საერთოდ მოიხსნებიან ეროვნული ჩემპიონატიდან, რაც ავტომატურად თასის ფინალიდან მოკვეთასაც ნიშნავს.

და ბოლოს: არის კიდევ ერთი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს, რომ საპროტესტოდ მთლად შესაფერისი მომენტი არ უნდა იყოს შერჩეული. ამას რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ სეზონის ფინიშამდე დარჩენილ ორ თვეს, ეს კი, ცალკეულ კალათბურთელებს, სუპერლიგის დებულების თანახმად, სათამაშო პრაქტიკისთვის სხვა გუნდებში გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კლუბის პრეზიდენტის გარდა, „სოხუმს“ აქამდე სხვა მოკეთეებიც ჰყავდა და ჰყავს. მაგალითად, სახელმწიფო კანცელარიის დარბაზი გუნდს უსასყიდლოდ აქვს სავარჯიშოდ დათმობილი.

სწორედ ეს გარემოებები გვაიმედებს, რომ კვანძი ამჯერადაც სასურველად გაიხსნება და ყველაფერი ჰეფი ენდით დასრულდება.

**გია პლატონიშვილი**

**ვაი, სირცხვილო!**

# დანაშაული და სასჯელი



**კვირას ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის 21-ე ტურის მატჩში ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის მომხდარი არეულობის გამო (რომლის დროსაც მასპინძელი გუნდის გულშემატკივრები მოედანზე გადმოვიდნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს მეტოქე გუნდის ფეხბურთელებსა და ქომაგებს) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გადაწყვეტენ, როდის გაიმართება სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელიც სავარაუდოდ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ და მის სტადიონს მკაცრ სანქციებს და ჯარიმას დაუწესებს.**

სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის მიხედვით (მუხლი 106, პუნქტი – 2): „მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რამაც გამოიწვია მასობრივი უწესრიგობა, რის გამოც ჩაიშალა მატჩი, დამნაშავე კლუბი ისჯება წაგების ჩათვლით და ჯარიმით. შესაბამისად, ,მაყურებლის გარეშე 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით, ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით“.

ჯარიმა პირველ შემთხვევაში 10 ათასი ლარია, თუმცა სფფ-ში ამბობენ, რომ საგანგებო შემთხვევაში კომიტეტს აქვს უფლება კოდექსით გათვალისწინებულზე გაცილებით მკაცრი სანქციები მიიღოს.

ბოლო ინფორმაციით, ჯერჯერობით არეულობის მონაწილე 16 ადამიანია დაკავებული, რომლებიც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გუშინ 100-დან 500 ლარამდე თანხით დააჯარიმა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ქუთაისის „ტორპედო“ 18 300 ლარით დაჯარიმა და მომდევნო ხუთ საშინაო მატჩს ნეიტრალურ სტადიონზე გამართავს.**

**გარდა ამისა, 800 ლარით დაჯარიმდა „დინამოც“, გუნდის გულშემატკივრების მიერ სტადიონზე სკამების დამტვრევის გამო.**

**ფედერაციის აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას, მომდევნო თამაშებში, რომელსაც „ტორპედო“ ნეიტრალურ სტადიონზე გამართავს, დაესწრება თუ არა გულშემატკივარი.**

**გიორგი შოთაძე**

**კიკბოქსინგი**

# ტიტული ნოკაუტით მოიგო



**ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში საპრომოუტერო კომპანია GLORY-მ კიკბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში მსუბუქ წონით კატეგორიაში (70 კგ) ერთმანეთს დაუპირისპირა 26 წლის დავით ქირია და სურინამელი ენდი რასტი. ოფიციალური რეიტინგით პირველ ადგილზე მყოფ სურინამელს 47 შეხვედრიდან 44 გამარჯვება და 3 მარცხი ჰქონდა.** ქართველის მონაგარი უფრო მოკრძალებული იყო – 22 მოგება და 8 წაგება. ამის მიუხედავად, ქირიამ მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა – მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა იგი და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**ვაჟა ნოსირელი**

**ჭადრაკი**

# ჯობავა ჯერჯერობით მეთორმეტეა

**სომხეთის დედაქალაქ ერევანში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მე-15 ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდია 150.000 ევრო.**



**გამარჯვებული 20.000, ხოლო მეორე-მესამე პრიზიორები, შესაბამისად, 16.000 და 14.000 ევროთი დაჯილდოვდებიან.** მედლებისთვის 27 ქვეყნის 258 მოჭადრაკე იბრძვის, მათ შორის – საქართველოს წარმომადგენლებიც. მსგავსი შეჯიბრებების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა ბაადურ ჯობავამ (2716) მე-6 ტურში რუს დანიილ დუბოვს (2618) შავი ფიგურებით სძლია და 4,5 ქულით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი კი ასეთია: გაიოზ ნიგალიძე (2494) – 4, ლუკა პაიჭაძე (2544), ალექსანდრე ყაშაშვილი (2370), სალომე მელია (2453), გიგა ყუფარაძე (2507) – 3.5-3,5, გია ბაღათუროვი (2408), ნანა ძაგნიძე (2546), მერი არაბიძე (2374), ივერი ჭიღლაძე (2380), ლევან ფანცულაია (2612) – 3-3, ირაკლი ბერაძე (2375), ბაჩანა მორჩიაშვილი (2335), ნიკა ღვამბერია (2125) – 2.5-2,5, გიორგი სიბაშვილი (2243), ნოე თუთისანი (2137), ნატო იმნაძე (2100) – 2-2 ქულა. ევროპის ჩემპიონატს 5.5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს რუსი ალექსანდრე მოტილევი. რადოსლავ ვოიტაშეკს (პოლონეთი), ჰრანტ მელქუმიანსა (სომხეთი) და ვიქტორ ლაზნიჩკას (ჩეხეთი) 5-5 ქულა აქვთ. შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

**გივი გაგუა**

**წყალბურთი**

# წილი ყარეს

**წლეულს 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრების 12 მონაწილე, მათ შორის – საქართველოს ნაკრები, წილისყრით ორ ჯგუფში გაანაწილეს: **A ჯგუფი.** ჩერნოგორია, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო. **B ჯგუფი.** სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, ხორვატეთი, საფრანგეთი, ესპანეთი. დებულებით, ჯგუფების გამარჯვებულები ნახევარფინალის საგზურებს ავტომატურად მიიღებენ, მეორე-მესამეადგილოსნები კი ჯვარედინი პრინციპით ერთმანეთს გაეჯიბრებიან და კიდევ 2 ნახევარფინალისტს გამოავლენენ.

**A ჯგუფის** კალენდარი ასეთია:

**14 ივლისი**. რუმინეთი – საქართველო, ჩერნოგორია – საბერძნეთი, იტალია – რუსეთი.

**15 ივლისი**. საქართველო – საბერძნეთი, რუსეთი – ჩერნოგორია, რუმინეთი – იტალია.

**17 ივლისი,** საბერძნეთი – რუსეთი, იტალია – საქართველო, ჩერნოგორია – რუმინეთი.

**19 ივლისი**. **საქართველო** – რუსეთი, რუმინეთი – საბერძნეთი, იტალია – ჩერნოგორია.

**21 ივლისი**. რუსეთი – რუმინეთი, საბერძნეთი – იტალია, ჩერნოგორია – საქართველო.

**ლაშა დიდია**




**რაგბი**

# რუმინეთთან მხოლოდ მოგება გვინდა

**2014 წლის ევროპის ერთა თასი.**

**2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი.**

**მე-2 წრის მე-4 ტური.**

**ესპანეთი – საქართველო 17:24 (14:9).**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი (ბექა წიკლაური 76), ირაკლი მაჩხანელი (კაპ.),თედო ზიბზიბაძე (ლაშა მალაღურაძე 73), მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, ლაშა ხმალაძე, ვაჟა ხუციშვილი (გიორგი ბეგაძე 62); ზურაბ ჟვანია (კარლენ ასიეშვილი 70), ჯაბა ბრეგვაძე (შალვა მამუკაშვილი 48), ლევან ჩილაჩავა (ანტონ ფეიქრიშვილი 48), გიორგი ნემსაძე, კოტე მიქაუტაძე, გიორგი თხილაიშვილი (შალვა სუთიაშვილი 62), მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (გივი ბერიშვილი 62).



გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მადრიდში ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა და 24:17 დაამარცხა, თუმცა, საპრემიო ქულა ვერ აიღო და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი რუმინეთს გადაულოცა. ერთა თასის შესანარჩუნებლად და მომავალი მსოფლიო თასის ფინალურ რაუნდში სასურველ ჯგუფში მოსახვედრად ბოლო ტურში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, კარპატელებს აუცილებლად უნდა ვძლიოთ.

მადრიდში მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო და ეს არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან სტუმრების მსგავსად მასპინძლებსაც მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, რადგან ჯგუფის დატოვების საფრთხე ემუქრებოდათ. მე-9 წუთზე, როცა ესპანელები მორიგი შეტევის წამოწყებას ცდილობდნენ, დაჯარიმდნენ და მერაბ კვირიკაშვილმა ანგარიში გახსნა. მალევე კვირიკაშვილმა ასევე ზუსტი საჯარიმოთი 6-მდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა. ამის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და ქართველების სუსტმა თამაშმა მათ შესვენებამდე დაწინაურების საშუალება მისცა – 14:9. მეორე ტაიმში „ბორჯღალოსნები“ უფრო მობილიზებულად თამაშობდნენ და გაიმარჯვეს კიდეც 24:17, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, საპრემიო ქულა ვერ დაიმსახურეს. სამაგიეროდ, ეს „ლომებმა“ შეძლეს და დივიზიონში ადგილი შეინარჩუნეს, რადგან ბელგიელებთან ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვთ.

იმავე დღეს რუსეთმა პორტუგალია დაამარცხა – 34:18, ხოლო რუმინეთმა ბელგიას აჯობა – 29:10.

**სატურნირო ცხრილი:** რუმინეთი – 38, საქართველო – 37, პორტუგალია, ესპანეთი – 11-11, ბელგია – 6 ქულა.

**15 მარტი**. საქართველო – რუმინეთი, პორტუგალია – ესპანეთი, ბელგია – რუსეთი.

**ლექსო ცინცაძე**

◉ შაბათ-კვირის ჩანაწერები

# არდავიწყება მორის ფოცხიშვილისა

**აი, ვისი ლექსები იყო „მოდაში“, მართლაც „მუსიკალური“ და საუკეთესო სიმღერებად ქცეული... ამ ლექსების კრებულებით „საზრდოობდნენ“ ჩვენი ცნობილი კომპოზიტორები, სიამოვნებით თანამშრომლობდნენ მათ ავტორებთან. შეიძლება ითქვას, ამით განებივრებულიც კი იყო მორის ფოცხიშვილი... განსაკუთრებით კი ისა და გიორგი ცაბაძე „უგებდნენ“ ერთმანეთს.**

ვინღა კითხულობს დღეს ლექსებს?!. რადიო-ტელევიზიიდან გადმოსული მელოდია თუ გაგვახსენებს ხანდახან ამ მელოდიის ტექსტის ავტორს...

მორის ფოცხიშვილს აქაც უპირატესობა აქვს. მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები უფრო ხშირად ისმის ეთერში... ასე იყო გუშინწინაც: „დინამო“, „დინამო“, „დინამო“!.. გამარჯვება, „დინამო“! გუგუნებს ანსამბლი „ივერია“ ტელეეკრანზე ვაჟა აზარაშვილის ერთ-ერთ უპოპულარულეს სიმღერას, რომლის ტექსტიც მორის ფოცხიშვილს ეკუთვნის... ჰოდა, მეც ბატონ მორისს ვიხსენებ, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბრწყინვალე პოეტს, ერთი ხანობა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს, ავადსახსენებელმა დიაბეტმა რომ მოუსწრაფა სიცოცხლე.



ერთი სიამოვნება იყო მასთან შეხვედრა, ორმოცდაათი წლისა რომ გახდა, შევთანხმდით და სახლში ვეწვიე — ვერაზე, ლარსის ქუჩაზე... კედლებზე უამრავი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევარია. ვიცოდი, რომ მორის ფოცხიშვილი შესანიშნავად ხატავდა კიდეც. ვათვალიერებ: — **ეს, მაინც გატაცებაა, ბატონო მორის, არა?**

— აბა, რა გითხრა... არ ვიცი, რომელს მივანიჭო უპირატესობა... მაინც პოეზიით ავედი უღელტეხილზე...

**— როდესაც ამ უღელტეხილიდან გადაჰყურებთ, ალბათ, დაგებადებათ ფიქრი იმაზე, თუ რით გაამდიდრა თქვენმა თაობამ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, რა მოიტანა ეროვნულ მწერლობაში ღირებული?**

— ჩემმა თაობამ, ომისშემდგომმა თაობამ, შესძლო გაემძაფრებინა უფროს თანამოკალმეთა, „მამათა“ სათქმელი, შეურიგებელი ყოფილიყო მოძველებულისადმი. არამარტო მწერლობაში, იგი ყოველ ჟანრში ცდილობდა კედელთან მიეყენებინა არსი ბოროტებისა, არ მიეცა მისთვის ამოსუნთქვის საშუალება.

**— როგორ გგონიათ, მართლაც შეუძლია თუ არა პოეზიას „სული მოგვცეს უსპეტაკეს თოვლისა“, უფრო ამაღლებული, მშვენიერი გახადოს ჩვენი საცხოვრისი?**

— გალაკტიონის ეს სტრიქონი თავისთავად გულისხმობს იმას, რასაც პოეზია იძლევა. ჩემი აზრით, ერთადერთი გზა ადამიანის სულის გადარჩენისა, ეს არის გზა ჭეშმარიტი პოეზიისკენ. „ბალახმა — ლოდი, წყარომ — მიწა, სიმღერამ — გული, ამოანგრია, ამოხეთქა უხილავ ძალით, რომელსაც შენი სახელი ერქვა: პოეზია!!!“

**— მაინც, რამ გამოიწვია თქვენი ამდენი ლექსის ამღერება? ახლახან ფირფიტებიც კი გამოვიდა საესტრადო სიმღერებისა, რომლებიც თქვენს ლექსებზე შეიქმნა...**

— ამაზე არასდროს მიფიქრია... არც ის მეგონა, თუ მათ ასე დაეწაფებოდნენ კომპოზიტორები. პირველად სანდრო მირიანაშვილის „მე ის პატარა ნაკადული ვარ“ რომ მოვისმინე, სრულიად ახლებურად დამანახვა სიმღერამ ჩემი ლექსი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველა ლექსს არ უნდა ამღერება. ლექსი ლექსად უნდა დარჩეს, მაგრამ, თუ ისეთი ღვთიური ძალით იმოქმედებს, როგორც აკაკის „სულიკო“ და „ციცინათელა“, ეს უკვე ბედნიერებაა.

...როგორც გითხარით, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ტელევიზორში აჟღერებულმა „დინამო“, „დინამომ“ — გამახსენა მისი ტექსტის ავტორი, ნაღდი პოეტი და მამულიშვილი მორის ფოცხიშვილი. არც არასდროს დაგვვიწყნია იგი ქართული პოეზიის მოყვარულთ. დავივიწყებთ და, აგერ არ არის მუსიკა?.. ძალაუნებურად შეგვახსენებს თავს მისი — ხან ლაღი, ხან — სევდიანი, ხან — იმედიანი ლექსი — არდავიწყება მორის ფოცხიშვილსა.

# ცხოვრება „პოსლეზე“

**შემოვიდა ახალი ცხოვრება და ნელ-ნელა შემოჰყვა „სანისიე რვეულები“, რომლებშიც ზედმიწევნით ჩანს ჩვენი ქვეყნის საშუალო და ქვედა ფენის მოქალაქეთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დღეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სხვადასხვა სიდიდის მარკეტი მუშაობს, რომლებიც თავთავიანთ მეზობლებს, შორიახლო მცხოვრებ ადამიანებს არსებობას „უმსუბუქებენ“ „პოსლეზე“ გადასახადით.** კი ბატონო, გაავსე ჩანთა სურსათ-სანოვაგით, სასმელ-საჭმლით, წაიღე „პოსლეზე“, შენ უკვე „სანისიე რვეულის“ წევრი ხარ და გამყიდველს, მარკეტის მეპატრონეს იმედი აქვს, რომ ვალს ძალიან არ დაუგვიანებ. დაუგვიანებ და ნდობაც შეგერყევა... როგორც ამბობენ, ეს პროცესი არ არის მაინცდამაინც სამარცხვინო. მერე რა, მთელი პარიზი „სანისიე რვეულის“ წევრიაო, ოღონდ, ხელფასის დღემდე, ხოლო იქ ხელფასი, ვარიანტი არ არის, თავის გრაფიკს გადასცილდესო. ამდენად, გამყიდველიც ხელგაშლილია... ჩვენთან კი გასაცოდავებულ ხელფასს როდის მიიღებ, ან ორ კაპიკს როდის იშოვი, კაცმა არ იცის და გამყიდველიც ხშირად ყოყმანობს — გადაშლის მეზობლების სახელ-გვარებით სავსე „დავთარს“, მოძებნის შენს გვარს, გაჰყვება გასწვრივ: „ვა, აქ რომ გადასახდელი გაქვს?.. რა ვქნათ?“ „მოგცემ ამ დღეებში ერთიანად“, — ეუბნები და, ისიც, სხვა რა ჩარაა, სიაში ახალ ვალს გიმატებს. სხვათა შორის, როგორც გაირკვა, ამ ქრონიკული უფულობის გამო, მარკეტის მფლობელებსაც სხვა გზა არც რჩებათ — ნისიად მაინც ხომ უნდა გაყიდონ რამე? მუშტარმა ძალიან იკლო, ამიტომ, ნისია ორივე მხარეს აძლევს ხელს — მყიდველსაც და გამყიდველსაც...

რა ჯობს ასეთ ცხოვრებას!

# აი, საჭირო გაზეთი!..

**— რა საჭიროა ამდენი გაზეთი! — ხშირად გაიგონებთ ხოლმე ნაირ-ნაირი ჟურნალ-გაზეთებით განებივრებული მკითხველისგან. რას ვიზამთ, ყველას თავისი პროდუქცია ჰგონია საჭირო და საუკეთესო. აი, ეს გაზეთი რომ საჭიროა, ეჭვი არ მეპარება, უმალ დამეთანხმებით. მარტო მისი დასახელება ამბობს ყველაფერს — „ლიტერატურული მესხეთი“.** უკვე თხუთმეტი წელი გავიდა, რაც ეს ყოველთვიური გაზეთი ცდილობს და ახერხებს კიდეც თავის ფურცლებზე წარმოაჩინოს იქაურ სიტყვის ოსტატთა, ხელოვანთა, განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა ფიქრი, ზრუნვა, ყოველდღიური შრომა, მიღწევა... მიზეზთა და მიზეზთა გამო (რომლებიც გონივრულად უნდა გადაჭრას ახალმა ხელისუფლებამ) დედა-საქართველოს ასერიგად „ჩამოცილებული“ მესხეთ-ჯავახეთისა. „ლიტერატურული მესხეთი“ არასდროს ერიდება პრობლემათა წარმოჩენას, რაც ამ კუთხეში არსებობს, მაგალითად, ქართულ-სომხური ისტორიის, დღევანდელობის ზოგ საკითხზე, ჩვენს თვალსა და ყურს რომ ეხამუშება, ისეთ ამბებზე, მაგრამ სასიამოვნო ფაქტებსაც არ ივიწყებს.




აი, ამჯერადაც, „ლიტერატურული მესხეთის“ ახალი ნომრის რამდენიმე გვერდი ეთმობა ცნობილი სომეხი პოეტის, პუბლიცისტის, საქართველოს დიდი მეგობრის არსენ კარაპეტიანის შემოქმედებას.

გაზეთის დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ყოველნაირად ცდილობენ „ლიტერატურული მესხეთი“, მართლაც საჭირო და მრავალფეროვანი ბეჭდვითი ორგანო იყოს. ეს კი, უპირველესად, ითქმის **ავთანდილ ბერიძეზე** — გაზეთის რედაქტორსა და ავანჩავანზე, „გაკიდებული“ რომაა, წინ და უკან, ახალციხესა და თბილისს შორის, რადგან გაზეთი ბეჭდვით, მაინც თბილისში „საარის“ სტამბაში იბეჭდება.

აბა, უპრობლემოდ, დღეს კარგ გაზეთს გამოსცემ? ცხადია, აქაც აქვთ პრობლემები, მაგრამ ამ საიუბილეო ნომერზე, ნუ გამახსენებ მაგასო, — ღიმება ავთანდილ ბერიძეს — შესანიშნავ პოეტსა და ჟურნალისტს, — გვესტუმრეთ ახალციხეში, მოვიძევთ პურღვინოს თქვენს სამასპინძლოდო.

რატომაც არა, ოღონდ, ჯერ, ცოტა დათბეს, ავთო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ეპიტაფია

# კაცი, რომელმაც არ უღალატა თავის ცხოვრებისეულ მრწამსს

**ნუგზარ ავალიანის ხსოვნას**



საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პარტიის ლიდერი **ნუგზარ შალვას ძე ავალიანი**.

ნუგზარ ავალიანის ბიოგრაფია არის ბიოგრაფია კაცისა, რომელმაც არ უღალატა თავის ცხოვრებისეულ მრწამსს, სამშობლოსა და ხალხს.

ის დაიბადა 1942 წელს, ქუთისში. სკოლა და ინსტიტუტი დაამთავრა წარჩინებით.

მდიდარია მისი შრომითი ბიოგრაფია. დაიწყო მუშაობა როგორც მშენებლობის ოსტატმა, იყო ინჟინერ-მშენებელი, ქალაქ თერჯოლის არქიტექტორი, ხელმძღვანელობდა ქუთაისის მშენებლობასა და საქალაქო მეურნეობას. შემდეგ ხელმძღვანელობდა ქუთაისის საქარხნო რაიონს, ქალაქ წყალტუბოსა და ქალაქ ტყიბულს, როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის - მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პარტიული ლიდერი და მენეჯერი, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ მოვიხსენიებთ.

ნუგზარ ავალიანი ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით. იყო ძალიან პუნქტუალური, მომთხოვნი და, ამავე დროს, ყურადღებიანი და გულისხმიერი თანამშრომლებისა თუ თანაქალაქელების მიმართ. დღესაც დიდი პატივისცემით მოიგონებენ მისი განსაკუთრებული პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების შესახებ.

ეროვნული მოძრაობის აღზევების წლებში, ნუგზარ ავალიანი იყო ერთ-ერთი იშვიათი პარტიული ლიდერი, რომელმაც ბოლო წუთამდე არ დატოვა თავისი პოსტი ტყიბულის ქალაქკომის ლიდერისა, გამოავლინა რა საკუთარი საქმისა და იდეებისადმი უმაგალითო ერთგულება. მიუხედავად მუქარისა, საყოველთაო ალყაში მოქცეულმა, არ დატოვა კაბინეტი და ზნეობრივი გაკვეთილი აჩვენა თავის ამხანაგებს, მთელ ქალაქსა და რაიონს, უკანდახეულ კომპარტიის რესპუბლიკურ ლიდერებს!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნუგზარ ავალიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის აღდგენაში და გახდა კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 2009 წლიდან ის ხელმძღვანელობს საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას.

არ შეურიგდა რა კაპიტალიზმის უსამართლო სისტემას, ნუგზარ ავალიანი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა სოციალიზმის იდეას და მშრომელი ხალხის ინტერესებს.

მისი ცხოვრება და ბიოგრაფია სამაგალითო იქნება მრავალი თაობისათვის.

ნუგზარ ავალიანის, მეგობრისა და ამხანაგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში!

**თენგიზ მენთეშაშვილი, ადერკინ კოპლატაძე, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ავთანდილ საყვარელიძე, ბორის სარალიძე, მინდია უგრეხელიძე, ირაკლი ჟორდანია, დემურ მიქაძე, თამაზ შილაკაძე, ალეკო ჩხეიძე, თამაზ ცინცაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით უსამძიმრებენ უახლოეს მეგობარს, კეთილშობილ პიროვნებას, ქალბატონ მადონა მგელაძეს შვილის**

**დათო კარტოზიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**უახლოესი მეგობრები ცისანა ესებუა, ნუნუ საყვარელიძე, ნუნუ ყავლაშვილი, ლამარა მექვაბიშვილი, ლამარა შავდია, დოდო ვაშაძე, მზია მირზაშვილი თანაუგრძნობენ მადონა მგელაძის ოჯახს შვილის**

**დათო კარტოზიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მანანა ბერუჩაშვილი, ბონდო ხობელავა იუწყებიან**

**დავით შოთას ძე კარტოზიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**საქართველოს ქალთა საბჭო უდიდესი მწუხარებით თანაუგრძნობს საბჭოს აქტიურ წევრს ქალბატონ მადონა მგელაძეს შვილის**

**დავით კარტოზიას**

**გარდაცვალების გამო.**

## განცხადება

**2014 წლის 25 აპრილს, 12 საათზე, სასტუმრო „ბაზალეთი პლაზას“ საკონფერენციო დარბაზში — ქ. თბილისი, გულიას ქ. №1, გაიმართება შპს „ეკოლოგიკას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია თბილისში და მის შემოგარენში არსებული რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

სასტუმრო „ბაზალეთი პლაზას“ საკონფერენციო დარბაზი — ქ. თბილისი, გულიას ქ. №1.

შპს „ეკოლოგიკას“ ოფისში — ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი კორპ. 2. ტელ: 5(99)57 22 21

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**შპს „ეკოლოგიკას“ ადმინისტრაცია**



**საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მუზეუმის თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის**

**ვაჟა ვარაზაშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ორი სათრეველა

**„კმარელთა“ მიერ ანკესზე ათასმული და „ერისიონს“ დაპირისპირებული ათასეულის პასუხად**

### ნუ ჩააგდებ აინუნში

მხოლოდ მე არ ვამბობ, ჯემალ,
საქართველოს სწამს და სჯერა,
ვინც აგინებს „ერისიონს“,
ის ღალატობს ერის სიონს.
ჰოდა ძმაო, ძამავ, ჯიმავ,
თუ უვიცი გაგეჯგიმა,
მისი მსგავსი ბაიყუში,
არ ჩააგდო აინუნში!

### ანკესით ათასმული ათასი

ერის სიო სძულს და კვლავაც
„ერისიონს“ უტევს „კმარა“,
მაგრამ კმარა, უკვე კმარა,
ნაცმაცუნა ჩვენს სისხლს სვამდეს
და ანკესზეც ათასმავდეს
ბრიყვს და უგნურს ათასამდე!

**ალექსანდრე შენგელია**

## დაიჯესტი

### ელექტროსტიმულაცია გონებასუსტის წინააღმდეგ



**მეცნიერებმა თავის ტვინის ვარჯიშები შეიმუშავეს.**

ამჟამად დადგენილია, რომ თავის ტვინი მუშაობას არასოდეს წყვეტს, ამიტომ აუცილებელია მისი მუდმივად ვარჯიში. თავის ტვინის ხვეულთა ფიტნესისთვის არა მარტო უცხო ენების თუ ჭადრაკის თამაშის სწავლაა საჭირო, არამედ სამედიცინო ელექტროსტიმულაციის გამოყენებაცაა აუცილებელი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ხანდაზმულობის გონებასისუსტის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე აქვთ.

### იდეალური საცვლები

**რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი ქვედანაყოფის ჯარისკაცებმა ექსპერიმენტული ტარებისთვის 12 პირადი ნივთი, მათ შორის, მემბრანული ტიპის წყალგაუმტარი წინდები, რომლებიც 48-სათიან ტარებაზეა განკუთვნილი, ასევე საკომპრესიო წინდები, რომელთა დანიშნულება დინამიური და სტატიკურ დატვირთვის კომპენსირებაა.**

გამოცდების შედეგების მიხედვით მწარმოებელი კომპანია გამოხმაურებებს გააანალიზებს და იმ ტექნიკურ პირობებს შეიმუშავებს, რომელთა შესაბამისად წინდებს სერიულად გამოუშვებენ. ახალი ეკიპირების საველე გამოცდა 2012 წლის სექტემბერში ჩატარდა და წარუმატებლად სცნეს. მის შემადგენლობაშია 40 ელემენტი, მათ შორის კავშირგაბმულობის საშუალებები, სიცოცხლის უზრუნველყოფისა და ნავიგაციის სისტემები.

პერსპექტიული კომპლექტის შემადგენლობაში, კერძოდ, იქნება სხვადასხვა ტიპის წინდები, საცვლები, ფორმა, დამცავი სათვალე, სმენის დაცვის გარნიტურა, მუხლებისა და იდაყვის სახსრების დამცველები, წყლის გასაწმენდი ფილტრები, სითბოსა და ენერგოუზრუნველყოფის ავტონომიური საშუალებები, კარავი და საძილე ტომარა. შეიარაღება კი იქნება ავტომატი AK– 12, ანდა კალაშნიკოვის ავტომატის სხვა მოდერნიზებული ტიპები, რომლებიც საფარიდან სროლის მოდულებითა და სამიზნეთა სხვადასხვა ტიპებით იქნება აღჭურვილი.



### სიკვდილი პირდაპირ ეთერში

**ჩინეთში სიკვდილით დასჯას სისხლის სამართლის კოდექსის 13 მუხლი ითვალისწინებს. მათ შორისაა არა მარტო მკვლელობა, კორუფცია და ნარკოტიკებით ვაჭრობა, არამედ ყალბი ფულის მოჭრა, გადასახადების გადახდისგან თავის არიდება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ელექტროდენის გამტარი მავთულების დაზიანებაც კი.**

სასიკვდილო განაჩენები სისრულეში ინიექციებით მხოლოდ ახლა მოყავთ, თუმცა კი უწინ საქმე სულ სხვაგვარად იყო. მაგალითად, იყო „ათასი ჭრილობისგან სიკვდილის“ მეთოდი: სიკვდილმისჯილს ოპიუმით აბრუებდნენ, რათა გონება არ დაეკარგა და ნელ-ნელა ნაჭერ-ნაჭერ კუწავდნენ. ამ პროცედურას ყველანი უნდა დასწრებოდნენ, რათა ჩადენილი დანაშაულის გამეორების ცდუნება შემდგომ არავის ჰქონოდა. არადა, ეგზეკუცია ზოგჯერ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა! შუა საუკუნეების ჩინეთში კიდევ ერთი ხერხი იყო, რომელსაც „დამპალი ნავი“ ეწოდებოდა: მსხვერპლს დამპალ ნავში სვამდნენ, რომელშიც ხელ-ფეხისთვის და თავისთვის ნახვრეტები იყო ამოღებული. ზემოდან ასეთივე ნავს ახურავდნენ, შემდეგ კი რამდენიმე დღის მანძილზე ჭიები და მწერები სიკვდილმისჯილს „ნახერხად“ აქცევდნენ. ასევე გამორჩეული იყო ბამბუკით სიკვდილით დასჯა. დამნაშავეს სკამს აბამდნენ, რომლის ქვეშ ბამბუკის ნერგს რგავდნენ. დღე-ღამეში კი ბამბუკი დაახლოებით ნახევარი მეტრით იზრდება...

სიკვდილით დასჯის სტატისტიკა საშინელი სახელმწიფო საიდუმლოა, თუმცა კი სხვადასხვა მონაცემებით ყოველწლიურად ამ ხვედრს ორიდან შვიდ ათასამდე კაცი იზიარებს, ხოლო იმის გამო, რომ აღმოსავლეთში ტრადიციებს დიდი ძალა აქვთ, ეს პროცედურები დღესდღეობითაც საჯაროა. მაგალითად, შარშან 1 მარტს ეროვნული ტელევიზიით ოთხი მიანმელი ნარკოტიკით მოვაჭრის სიკვდილით დასჯა გადაიცა, რომლებმაც 13 ჩინელი მეზღვაური მოკლეს.

### ვარდის არომატი

**კანადის კვებეკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვარდის სურნელება... ტკივილის შეგრძნებას ასუსტებს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ქალი ისუნთქავს.**

20 ქალისა და 20 მამაკაცის გამოკვლევისას, ისინი სხვადასხვა სურნელის ყნოსვისას იმავდროულად ცხელ წყალს ეხებოდნენ. ოთახში დატრიალებული ვარდისა და ნუშის სურნელი ქალებში უსიამო შეგრძნებას ანალებდა, ხოლო ძმრის სუნი მას პირიქით, ამძაფრებდა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### „მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთობა იძაბება“

— **ამბობს** აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, — რუსეთთან არის დავა გარკვეულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. არის ერთი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა, რომელზეც რუსები პრეტენზიას აცხადებენ. აფხაზები თვლიან, რომ ეს აფხაზეთის ტერიტორიაა. რუსეთი ცდილობს, მიიერთოს. აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა არ თმობს. იყო საუბრები, მაგრამ საკითხი გადაუწყვეტელია. ამ ტერიტორიის დასაკუთრებაში რუსებს პრეტენზია დღემდე უკან არ წაუღიათ. როგორც ვიცი, ადმინისტრაცია დღემდე უარს ამბობს ამ ტერიტორიის რუსეთისთვის გადაცემაზე. თუ რუსეთი ამ ტერიტორიას ძალით წაიღებს, ეს მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთობას დაძაბავს.

**„ახალი თაობა“**

### დიმიტრი შაშკინს ბინძურ გარიგებაში ამხელენ

**საქართველოში** ინგლისური ენის სახელმძღვანელოების შემომტანი კომპანია „კავკასიის აკადემიური ცენტრი“ განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ბრალს პირადი ინტერესების ლობირებაში სდებს — 2011 წელს, ექსმინისტრმა ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს გრიფი კანონსაწინააღმდეგოდ მიანიჭა, რის შედეგადაც „მაკმილანის“ გამომცემლობა და მისი პარტნიორი „ინგლისური წიგნი საქართველოში“, სახელმძღვანელოების ბაზრის მონოპოლისტი გახდა. ერთადერთი კონკურენტი კომპანიის — „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლები კი ხმაურიანი სპეცოპერაციით დააპატიმრეს და ციხეში ერთი წელი გაატარეს. ბიზნესმენების განცხადებით, კუდმა ისინი იმიტომ დააპატიმრა, გრიფის კონკურსს ჩამოშორებოდნენ. 2012 წელს „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლებმა საქართველოს მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს. ამჟამად ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს. გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა.

**„ვერსია“**

### სეტყვის საწინააღმდეგო სისტემაზე მუშაობა დაიწყო

**სახელმწიფომ** სეტყვის წინააღმდეგ სისტემაზე მუშაობა დაიწყო, პროექტს სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ახორციელებს, რომლის გენერალური დირექტორი უჩა ძოძუაშვილი ამბობს, რომ პროექტი 20.5 მილიონი დაჯდება და სეტყვის მიერ მიყენებულ ზარალს 85-95 პროცენტით შეამცირებს. „ამ სისტემის ზემოქმედების პრინციპი ღრუბელში სეტყვით რეაგენტის შექმნაა. თვითონ სისტემა გეოფიზიკის ტექნიკომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბაზაზეა დამუშავებული. მთელი ამ სისტემის შექმნას „დელტა“ ახორციელებს, ანუ საცეცხლე წერტილები მთლიანად ქართული წარმოების იქნება.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **აბრამ**, შეიძლება, შენი სათიბელა გამოვიყენო?
— რა თქმა უნდა, მოშე, ოღონდ — ჩემს ნაკვეთში.

* * *

— **სვეტა**, ეს რანაირი ტრუსები გაცვია — ორი წვრილი თოკიღაა. იგი ხომ არაფერს არ იცავს.
— ქალის ტრუსები დაცვისთვის კი არა, თავდასხმისთვისაა შექმნილი.



— **დედი**, ანგელოზები დაფრინავენ?
— ჰო, შვილო, დაფრინავენ.
— მამიკომ ჩვენს მეზობელს სვეტა დეიდას ანგელოზი დაუძახა. როდის გაფრინდება იგი?
— სულ რაღაც ათ წუთში...

* * *

**ორი** დაქალი ხვდება ერთმანეთს:
— ფეხმძიმედ ვარ.
— საიდან მოიტანე?
— ექიმმა მითხრა.
— მამა ვინ არის?
— არ ვიცი, ექიმს არ უთქვამს...

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24